ლელო
№ 82
(11 231)
16 – 19 ოქტომბერი, 1998 წ.
ფასი 30 თეთრი
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სირცხვილი, რომელსაც საფეხბურთო მოედნის ჩარჩოები ველარ იტევს...

# საბერძნეთი – საქართველო 3-0




## საინტერესო ამბების მოლოდინში – ვინ გაუძღვება ქართულ ფეხბურთს?

*ერთი კვირაც და ჩვენს დაქცეულ ქართულ ფეხბურთს კანონიერი პრეზიდენტი ეყოლება (ალბათ!) – 23 ოქტომბერს, თბილისში, რკინიგზის მუშაკთა კულტურის სახლში სფფ-ს მეოთხე ყრილობა გაიმართება. დღეს კი ფედერაციას ეწვევიან სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის და იუსტიციის სამინისტროს მოხელეები, რომლებსაც გააცნობენ დელეგატთა ვინაობას, რაოდენობას, ყრილობის გაძღოლის წესს და ა.შ.*

*გულახდილად ვიტყვით, ფონი, რომელშიც ყრილობა ჩატარდება, აშკარად არ იქნება ფედერაციის მოხელეთა სასარგებლოდ – როცა ალმასკომის წევრებმა არჩევნები 23 ოქტომბრისთვის გადაიტანეს, ვარაუდობდნენ, რომ ეროვნული ნაკრები ლატვიიდან და საბერძნეთიდან 4 ქულას მაინც ჩამოიტანდა და ყრილობაზე ეს იქნებოდა ჩინოსანთა მთავარი კოზირი. კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო: ნეტავი რა „მიღწევებზე" იქნება საუბარი ყრილობაზე. სხვათა შორის, მომავალი კვირა მარტო სფფ-ს ყრილობით არ იქნება საინტერესო. სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტის ელგუჯა ბერიშვილის ინფორმაციით, საფეხბურთო პრესკლუბში მოეწყობა შეხვედრები პრეზიდენტობის მაძიებელ ოთხივე კანდიდატთან.*

## პროცესი კიდევ ერთხელ გადაიდო. ვითომ შემთხვევით?

**დედაქალაქის დიდუბის რაიონის მოსამართლის მიხეილ კოტრიკაძის განცხადებაზე დაყრდნობით, მკითხველს შევატყობინეთ, რომ 13 ოქტომბერს, როგორც იქნა, უნდა დასრულებულიყო საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შექმნილი საპარტნიორო ფონდიდან თბილისის „დინამოს" კლუბის დირექტორატის მიერ 28 მილიონი ლარის არამიზნობრივად გამოყენების საქმე. ეს სასამართლო პროცესი ჯერ კიდევ 1995 წლიდან გრძელდება. „დინამოს" კლუბის ვიცე-პრეზიდენტის რომან შოთაძის თქმით, გამიზნება შეგნებულად გაიწელა სფფ-ს პრეზიდენტის არჩევნებამდე, რათა ასეთი გზით ჩამოეცილებინათ გზიდან ერთ-ერთი კანდიდატი – მერაბ ჟორდანია. როგორც ჩანს, მისმა მოწინააღმდეგეებმა ეს მოახერხეს კიდეც – სასამართლო უკვე მერამდენედ გადაიდო ეკონომიკის ინსტიტუტის ექსპერტების გამოუცხადებლობის გამო და იმასთან დაკავშირებით, რომ „დინამომ" ადვოკატის აყვანა მოითხოვა. მოსამართლე კოტრიკაძის განცხადებით, სასამართლო პროცესი 20 ოქტომბრის შემდეგ გაიმართება.**

## სეოკ-ის სტიპენდიები – სტუდენტებს

საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტის ალმასკომმა მიიღო დადგენილება სწავლასა და სპორტში მიღწეული წარმატებებისა და ოლიმპიურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის ჩვენი სპორტის აკადემიის ორ სტუდენტს (გოგონა და ვაჟი) თსუ-ს, ტექნიკური უნივერსიტეტის აფხაზეთის, ბათუმისა და ქუთაისის უნივერსიტეტების თითო სტუდენტს 1998 წლის 1 სექტემბრიდან დაენიშნოს სეოკ-ის ყოველთვიური სტიპენდია თითოეული 50 ლარის ოდენობით არასაბიუჯეტო შემოსავლებიდან.

კანდიდატებს წარადგენენ ზემოხსენებული სასწავლებლები ყოველი ახალი სასწავლო წლის დასაწყისში. თუკი არასაბიუჯეტო თანხები საკმაოდ იქნება მოზიდული, სტიპენდიები დაენიშნება, აგრეთვე სხვა უმაღლესი სასწავლებლისა და ლიცეუმების სტუდენტებს.

პირველ სტიპენდიანტ-სტუდენტებს სეოკში ოქტომბერში მიიწვევენ საგანგებო შეხვედრაზე.

## ჭაბუკებმა მაინც გაგვახარეს

საქართველოს 18 წლამდე ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრებმა უნგრეთში ევროპის შესარჩევ ტურნირში გაიმარჯვა და ახლა ჩვენი მომავალი მეტოქე XI ჯგუფში ჩეხეთს, უკრაინასა და სომხეთს შორის პირველ ადგილზე გასული ნაკრები იქნება. ქართველმა ჭაბუკებმა ჯგუფში ჯერ ბულგარელებს სძლიეს, შემდეგ კი ფრედ ითამაშეს მასპინძელ თანატოლებთან.

## წოდების მინიჭება

**ჩვენს ქვეყანაში ქართული ჭიდაობის განვითარებისა და ახალგაზრდობის აღზრდაში შეტანილი წვლილისათვის საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა ქართული ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს *იური იმერლიშვილს* საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის წოდება მიანიჭა.**

**ბრტყელ-ბრტყელი** ფრაზებით გულის მოფხანა ასეთ დროს მართლაც რომ შველაა ჩვენნაირი ხალხისთვის, შველა წამიერი და წარმავალი. სიმართლე კი აუცილებელია, თანამედროვე ჭეშმარიტების გარეშე მომავალი ილუზია იქნება და მეტი არაფერი. სიმართლე, განკითხვა სულაც არ გახლავთ, სიმართლე მხილებაა, ის მწარე სიმართლე, რამაც საქართველოს ეროვნული გუნდის მორიგ შერცხვენამდე მიგვიყვანა. ამ შერცხვენას გრძელი ისტორია აქვს; მაგრამ ამჯერად მხოლოდ 1997 წლის 25 დეკემბერს ჩატარებულ სფფ-ს ალმასკომის სხდომას დავუბრუნდებით. მაშინ, ეროვნულ გუნდს, მთავარი მწვრთნელი დავით ყიფიანი ჩამოაშორეს. არადა, ყიფიან-ძოძუაშვილის ტანდემმა უქულო, დათრგუნული ნაკრები ჩაიბარა და 10-ით დაამთავრებინა შესარჩევი ციკლი. სფფ-ს ალმასკომმაც ადგა და დადებითად შეაფასა ყიფიან-ძოძუაშვილის მიერ გაწეული მუშაობა, ოღონდ ნაკრების გაძღოლა ვლადიმერ გუცაევს გადაულოცა. პარადოქსი? მერე და როგორი? როგორი და სამარცხვინო, ვერანაირ მორალურ და ეთიკურ ჩარჩოებში რომ ვერ მოექცევა, ისეთი. მიზეზი უბრალოა, – დავით ყიფიანი არ ურიგდებოდა სფფ-ს საქმიანობის მანკიერ სტილს, ამის შესახებ ხმამაღლა ლაპარაკობდა, მაგრამ სფფ-მ შეძლო დავით ყიფიანისთვის საინფორმაციო ომის მოგება, საქმეში ჩაუხედავი, ვულგარული და ობივატელური საზოგადოების თვალში. ამ „საზოგადოებას" კი არ ესმის, რომ ეროვნულ ნაკრებს სულ სხვა ინტელექტი, მენტალიტეტი, აზროვნება, მოკლედ, პიროვნული თვისებების მთელი თავისებური სპექტრი ესაჭიროება. ამ „საზოგადოებას" ისიც კი არ ესმის, რომ ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებს „შუა უზის დიდი ზღვარი"; არ ესმის, რომ ნაციონალიზმის (კარგი გაგებით) მარცვალი ყველაფერში ძევს და მათ შორის ეროვნულ გუნდშიც. ხოლო სფფ-ს ეს ყველაფერი მშვენივრად ესმოდა და ესმის, მაგრამ მაინც თავისი საქმე გაიკეთა, დიახ, თავისი და არა ეროვნული. სფფ-მ მშვენივრად იცოდა და იცის, რომ საქართველოს ეროვნული ნიჰილიზმი ღრღნის, მაგრამ თავისი საკადრო პოლიტიკით ნავთი გადაასხა ჩვენს ინდეფერენტულობას. კიდევ ერთს შეგახსენებთ – 25 დეკემბრის ალმასკომზე სფფ-ს ყრილობის თარიღად 24 ივლისი და

იხ. მე-3 გვ.







**საბერძნეთის** პრესამ ფართო შეფასება მისცა ამ ქვეყნისა და საქართველოს ნაკრები გუნდების 14 ოქტომბრის მატჩს. გაზეთების უმრავლესობა, ცხადია, ხოტბას ასხამს თავის გუნდს. ზოგიერთ გამოცემაში კი ისეთმა აზრმაც გაიელვა, რომ საქართველოს ნაკრები არ არის ხელწამოსაკრავი გუნდი, რომ ბერძნებმა შინ ქვეჯგუფის ერთ-ერთ ძლიერ ნაკრებს მოუგეს.

ასეც ხდება... პრესა ზოგჯერ მეტოქეს ძლიერ გუნდად წარმოაჩენს, რათა თავისი ნაკრების გამარჯვებას მეტი ღირებულება შესძინოს.

## ნადი ვიაჩესლავ, ნადი!..

**„ლელოს" მოსკოველი კორესპონდენტი არკადი სმირნოვი იტყობინება:**

რუსეთის საფეხბურთო კლუბებისა და პროფესიონალური ლიგის ხელმძღვანელებმა ულტიმატუმით მიმართეს საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტს ვიაჩესლავ კოლოსკოვს დაუყოვნებლივ გადადგომის მოთხოვნით. იმ შემთხვევაში, თუ იგი უარს განაცხადებს შეასრულოს ოპოზიციის სურვილი, რუსეთის ჩემპიონატი ჩაიშლება (არადა, გათამაშება 30 ოქტომბერს უნდა დასრულდეს, გუნდებს სამ-სამი მატჩი დარჩათ ჩასატარებელი).

მაინც ვინ არის კოლოსკოვის დაუძინებელი მტრების ბანაკის სათავეში? ასეთად მიიჩნევენ საფეხბურთო ლიგის თავკაცს, იმავდროულად მოსკოვის „დინამოს" კლუბის პრეზიდენტს ნიკოლაი ტოლსტიხს. იგი ოფიციალურად მოითხოვს, რომ საფეხბურთო კავშირის საგანგებო ყრილობამ დღის წესრიგში დააყენოს კოლოსკოვისადმი ნდობის საკითხი. გარდა ამისა, კლუბების ხელმძღვანელები ითხოვენ საარჩევნო უფლებების გაფართოებას კავშირის პრეზიდენტის არჩევნებზე, რომელიც ნოემბერში უნდა გაიმართოს. ოპოზიცია კოლოსკოვს რუსული ფეხბურთის დასამარებას აბრალებს. განსაკუთრებულად უსვამენ ხაზს, რომ რუსეთის ეროვნული ნაკრები ვერ მოხვდა საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში და რეკორდულად მოკლე პერიოდში დაკარგა პრაქტიკული შანსები გაემგზავროს ევრო-2000-ის დასკვნით ასპარეზობაშიც.

მაშ რაღა უნდა თქვან ქართველებმა? ბოლო ხანს რუსულმა ფეხბურთმა ის მაინც „გაახერხა", რომ ეროვნულმა ნაკრებმა ინგლისის 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში იასპარეზა, ხოლო შარშან მოსკოვის „სპარტაკი" და „ლოკომოტივი" ევროტურნირების ნახევარფინალამდე მივიდნენ. თუ ასეთი კრიტერიუმებით შევაფასებთ ფედერაციების მუშაობას, მაშინ წესით სფფ-ს ჩინოსნებს კარგა ხანია უნდა დაეტოვებინათ თავიანთი სავარძლები.

## კალათბურთი • ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

დღეისათვის გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასე გამოიყურება:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ | 3 | 3 | 0 | 282:235 | 6 |
| თსუ | 3 | 2 | 1 | 261:252 | 5 |
| შევარდ. | 3 | 2 | 1 | 161:155 | 5 |
| აზოტი | 2 | 2 | 0 | 185:146 | 4 |
| დინამო | 2 | 2 | 0 | 170:150 | 4 |
| მაკაბი | 3 | 0 | 3 | 219:249 | 3 |
| სდასუ | 3 | 0 | 3 | 231:272 | 3 |
| კოლხა | 3 | 0 | 3 | 227:269; | 3 |
| ვითა | 2 | 1 | 1 | 93:101 | 2 |



*შენიშვნა: „ვითას" დაკლებული აქვს I ქულა*

*მორიგი IV ტურის მატჩები დღეს და ხვალ, 16-17 ოქტომბერს გაიმართება: სდასუ — აზოტი, კოლხა — თსუ, სტუ — მაკაბი, ვითა — დინამო.*

## სოფელი – „საქართველოს ფალავანი“

# ხაშურმა და ოსიაურმა სამაგალითოდ წარმოაჩინა...



დოღში 2400 მეტრზე სპარტაკიადაში გამარჯვებული ოსიაურელი გაგი ენჯიბაძე

ცხოვრება, ალბათ, მაშინ შეიძლება ჩაითვალოს გაყინულად, როცა ქვეყანაში სპორტული მუშაობა შეწყდება და ჩაკვდება, როცა ტრადიციებს აღარავინ არაფრად მიიჩნევს. განსაკუთრებით ეს ითქმის სოფელზე, სადაც ყველა ის სიკეთეა დაუნჯებული, რაც თაობებს დასაბამიდან შეუქმნია. „მიყვარხარ და გასახელებ საქართველოს ფალავნადო“ — უთქვამს პოეტს სოფელზე. სოფლად სპორტის აღორძინება-განვითარებამ ჩვენში მას შემდეგ შეიძინა ახალი სტიმული, რაც შარშანწინ ქვეყანაში შეიქმნა სოფლად სპორტის აღორძინების ასოციაცია, შემდეგ კი მისი რეგიონალური და ადგილობრივი რგოლებიც გაჩნდა. ხოლო თუ როგორ უნდა დააინტერესო მოსახლეობა და დანერგო სპორტი მათ ყოფაში, სანიმუშო მაგალითი მოგვცა ხსენებული ასოციაციის ხაშურის რაიონულმა განყოფილებამ და ამავე რაიონის სოფელმა. ოსიაურს ადრეც სპორტულ სოფლად იცნობდნენ, მოსახლეობამ ისევ აღადგინა და აახმიანა სპორტული ობიექტები. სწორედ ამ სოფელმა უმასპინძლა ხაშურის რაიონული სპარტაკიადის ფინალურ ეტაპს. ეს ღონისძიება ჩატარდა მოქალაქეთა კავშირისა და ასოციაციის რაიონული ორგანიზაციის თაოსნობით. დიდი ხანია რაიონში ასეთი დღესასწაული არ უნახავთ, ოსიაურში შეკრებილმა რაიონის სოფლების რჩეულმა სპორტსმენებმა მართლაც ღირსეული მეტოქეობა გაუწიეს ერთმანეთს. ის კი არა, საბჭოთა წლებში მივიწყებული სპორტის ისეთი ეროვნული სახეობაც კი გაიხსენეს, როგორიცაა ცხენოსნობა, რაც ყველაზე სასიხარულო ამბად აღიქვა მოსახლეობამ და სტუმრებმა, ხუმრობა ხომ არ არის, სტარტზე 15 ცხენ-მხედარი გამოვიდა.

ფეხბურთში გაიმარჯვეს მასპინძლებმა, კალათბურთში — ვაყელებმა, ჭადრაკში — ქვიშხეთელებმა, შაშში — ალელებმა, მძლეოსნობის სხვადასხვა სახეობაში ბადალი არ ჰყავდათ ოსიაურელ ნინო ნოზაძეს, ვაყელ გია ლამბარაშვილს, ალელ თედორე ნოზაძეს და გომელ გოჩა გიკაშვილს, მკლავჭიდში — ომარ მეტრეველს და ფლეველ ვიტალი გელაშვილს, სპორტულ ნარდში — ქვიშხეთელ კლიმენტი სუთიაშვილს, ქართულ ჭიდაობაში გაიმარჯვეს ვასიკო ნოზაძემ, აჩიკო აწყურაშვილმა, თენგიზ ნოზაძემ, გიორგი გვარამაძემ, ალიკა სხილაძემ, ზვიად ნოზაძემ (ყველა — ალი), ალიკა მალალდაძემ, გოდერძი მახარაშვილმა, ოთარ დაბრუნდაშვილმა (სამივე — ოსიაური), გიორგი შარიბეგაშვილმა, სოსო ხითარიშვილმა, ომარ მეტრეველმა (სამივე — ვაყა), კობა ჯელიძემ (ფლევი) და გიორგი ტალახაძემ (წრომი).

გამარჯვებულებს და პრიზიორებს გადაეცათ პრიზები და დიპლომები. ამ სპორტულ დღესასწაულს ესწრებოდნენ, როგორც ასოციაციის ხელმძღვანელი მუშაკები, ისე სამხარეო, რაიონის და სოფლების ხელმძღვანელი ორგანიზაციების პასუხისმგებელი მუშაკები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ასოციაციის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის ჯემალ გელაშვილისა და გენერალური მდივნის თემურ მაღალთაძის ღვაწლი.

**დავით კინწურაშვილი,**
ასოციაციის გენერალური მდივანი.



სოფ. ვაყის კალათბურთელთა გუნდი – სპარტაკიადის ჩემპიონი

## დებიუტანტი



### ლევან ძონენიძე

ტრადიციული კარატე

*დაიბადა* 1985 წელს თბილისში
*წონა* – 45 კგ
*სიმაღლე* – 160 სმ.
*კარატეში* ვარჯიშობს 1991 წლიდან
*მწვრთნელი* – ჯამბულ კოდუა
*საშუალო* სკოლის მოსწავლე
*კლუბ* „ოდიშის“ წევრია
*თანატოლებში* საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი.
*არის* სხვადასხვა ტურნირის გამარჯვებული.
*სხვა გატაცება* – მუსიკა.

## ურთიერთობები

# „გიგის ენაცვალოს ჩემი თავი!“

*ადამიანთა ურთიერთობებში გაუცხოება, ზიზღი და ძაგება, სამწუხაროდ, ჩვენში თანამედროვე საზოგადოების საკმაოდ ფართო ნაწილის თანმდევი გახდა. დაუსწრებლად გნებავთ, სუფრის მიღმა, ადამიანთა შექება და სიყვარულის თუ პატივისცემის საჯაროდ გამოხატვა, თუნდაც ორსამ კაცთან, საჩოთიროდ ქცეულა — შიში მძლავრობს, შიში იმისა, რომ რომელიმე თანამოსაუბრემ ემანდ, შენს ალალ გრძნობებს, ცივი წყალი არ გადაასხას. ჰოდა, ვრჩებით ასე გაუცხოებულები ერთმანეთის მიმართ, კაცის სიკეთეც კი ხმამაღლა ვერ შეგიფასებია. თუმცა, ერთგვარ გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს სპორტული სფერო, სადაც თუკი ვინმე სპორტის საკეთილდღეოდ ხელს გამოიღებს, დაფასებას ნამდვილად არ აკლებენ. დასაფასებელთა რიცხვში კი უდავოდაა თბილისის ვიცე-მერი გიგი წერეთელი. როგორც ამბობენ, იგი სპორტზე უსაზღვროდაა შეყვარებული და თუკი დედაქალაქის სპორტულ მოძრაობაში გამორჩეულად შეიგრძნობა გამოცოცხლება, ეს მისი დიდი დამსახურებაცაა. განსაკუთრებით ყურადღებიანი კი ბავშვთა სპორტის მიმართ ყოფილა და მერიის განათლების მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელები დიდადაც ემადლიერებიან. სათაურში გამოტანილი სიტყვები კი იმავე მთავარი სამმართველოს თბილისის მოსწავლეთა საქალაქო ფიზკულტურულ-სპორტული გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა ვაჟა ჭკუასელომა თამამად და ხმამაღლა წარმოთქვა სპორტის სპეციალისტთა წრეში, როცა საუბარი ბავშვთა სპორტზე ჩამოვარდა. მართლაც, როგორ გვჭირდება ერთმანეთის მოფერება და სიკეთის დაფასება.*

*„ლელო“ შეეცდება გიგი წერეთელი ახლო პლანით გააცნოს თავის მკითხველებს.*

## ფრენბურთი ქალთა ეროვნული ჩემპიონატი

# ისევ „კოლხი“

დიდი ჯიხაიში საქართველოში ფრენბურთის განვითარების ერთ-ერთი დასაყრდენი კერაა. ამ სახეობის განვითარებას აქ ადგილობრივი კოლეჯის რექტორი ნუგზარ მიქაძე უდგას სათავეში. სულაც არ იყო შემთხვევითი, რომ საქართველოს ქალთა ეროვნული ჩემპიონატის ფინალური ეტაპი სწორედ დიდ ჯიხაიში ჩატარდა. ასპარეზობისადმი უდიდესი ინტერესი გამოიჩინეს რაიონის ხელმძღვანელებმაც (გამგებელი თემურ ლეჟავა). ეს იყო ნამდვილი სპორტული ზეიმი მთელს რაიონში და შეხვედრებსაც უამრავი მაყურებელი ესწრებოდა.

პლეი-ოფის მატჩებმა საინტერესოდ და დაძაბულად ჩაიარა. ამჯერადაც საქართველოს ჩემპიონის ოქროს მედლებს და თასს (ზედიზედ მესამედ) თბილისის „კოლხი“ დაეუფლა. მასპინძლები მეორე ადგილზე გავიდნენ, მესამე ადგილი კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს ხვდა. გამარჯვებული გუნდის მოთამაშე-მწვრთნელია ნინო მღებრიშვილი, კლუბის პრეზიდენტია გენადი გაგაშვილი.

ვაჟთა ჩემპიონატის ფინალური მატჩები თბილისში ჩატარდება ამ დღეებში.

**გ. ფუტკარაძე**

## სამბო

# დაიცავენ ტიტულს ჩემპიონები

როგორც იქნა გადაწყდა დაფინანსების საკითხი და სამბოს ოსტატთა ჩვენი ეროვნული ნაკრები რუსეთის ქალაქ კალინინგრადში გაემგზავრა მსოფლიო ჩემპიონატში სასპარეზოდ. ოღონდ ხარჯები არავის გაუღია, ბიჭებმა თავად იშოვეს ფული, მაგრამ სპორტის დეპარტამენტისგან მიიღეს გარანტია, რომ დანახარჯს შინ დაბრუნების შემდეგ როდესმე აუნაზღაურებენ.

ასეთი არაორდინარული სიტუაცია, ცხადია, გუნდს ბევრს ავალებს. გარდა იმისა, რომ ჩვენები შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონები არიან და თავის შერცხვენის უფლება არა აქვთ, ფულის დაბრუნებაც არ უნდა დააყვედროს ვინმემ.

გამგზავრების წინ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ოლეგ იაძემ გაგვაცნო გუნდის შემადგენლობა. ესენი არიან: თამაზ ნეფარიძე (52 კგ) და თემურ ნეფარიძე (57) — ორივე ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს პრიზიორი ჭაბუკებში; ბადრი ჯანიაშვილი (62) — დიდებში მსოფლიო ჩემპიონი (გამოდიოდა 57 კგ. წონაში); არჩილ ჩოხელი (68) — მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი; ნიკოლოზ ბიბილაშვილი (74) — ახალგაზრდებში მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი; გივი შარიაშვილი (82) — ევროპის ჩემპიონი და პრიზიორი; ივანე გამხიტაშვილი (90) — ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორი; იოსებ ახალბედაშვილი (100) — მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი. ტრავმის გამო ნაკრებს ვერ გაჰყვნენ ჯამბულ ქამხაძე და მამუკა კურდღელაშვილი. გუნდს ახლავს მსაჯი ანზორ ზურაბაული.



პირველ რიგში (მარცხნიდან): გ. შარიაშვილი, ნ. ბიბილაშვილი; მეორე რიგში: ი. ახალბედაშვილი, ა. ჩოხელი, ი. გამხიტაშვილი

### პოლიტიკოსთა სპორტული სამყარო პირველ სემინარზე

*პოლიტიკური გაერთიანება „სპორტული საქართველო“ დღეს, 16 ოქტომბერს, თბილისში მართავს პირველ სემინარს ადგილობრივ არჩევნებთან დაკავშირებით, სემინარზე მოიწვიეს საქართველოს ყველა კუთხის რაიონებისა და ქალაქების გაერთიანების ხელმძღვანელები. დღესვე 12 საათზე ისინი გვირგვინით შეამკობენ ლეგენდარული ფეხბურთელის ბორის პაიჭაძის ძეგლს ეროვნულ სტადიონზე და მოინახულებენ ასევე ლეგენდარული ფალავნის გივი კარტოზიას საფლავს.*

## «ლელოს» რედაქციას!

# სფფ-ის ყრილობის დელეგატებს!

საქართველოს რკინიგზელთა და სატრანსპორტო მშენებელთა დამოუკიდებელი პროფკავშირი, რომელიც ითვლის 27 ათას წევრს, საქართველოში შექმნილი მდგომარეობით შეწუხებული და თქვენთვის და ფეხბურთის ყველა გულშემატკივრისათვის გარდატეხის ჟამს მხარს ვუჭერთ და მოგმართავთ თქვენ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პოსტზე აირჩიოთ ბატონი **რამაზ გოგლიძე**.

ქართული ფეხბურთის გულშემატკივრებს და, საერთოდ, სპორტის მოყვარულებს კარგად გვახსოვს ბატონ რამაზ გოგლიძის მოღვაწეობა საქართველოს სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე. ამ პერიოდში არაერთი შესანიშნავი წარმატება მოიპოვეს ჩვენმა სპორტსმენებმა. ბატონი რამაზი არის ენერგიული და გამოცდილი მუშაკი და უნარიანი ხელმძღვანელი. გვჯერა რომ იგი შესანიშნავი კანდიდატია, რათა გახდეს ქართული ფეხბურთის ღირსეული თავკაცი. მისი პოპულარობის დამადასტურებელია ისიც, რომ ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი მხარს უჭერს რამაზ გოგლიძის კანდიდატურას, რაც ასევე ფრიად მნიშვნელოვანია.

დიდ ორკესტრს მართლაც სჭირდება დიდი მაესტრო და ასეთად გვესახება ბატონი რამაზ გოგლიძე.

საქართველოს რკინიგზელთა და სატრანსპორტო მშენებელთა პროფკავშირების სახელით და დავალებით

თავმჯდომარე **რ. ბუზიანიშვილი**

## ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი ფეხბურთში

# ყრუ-მუნჯთა შორის ბერძნებს ვძლიეთ, ჩეხებს?

*ამას წინათ, გაუწყეთ, რომ ქართველ ყრუ-მუნჯთა ნაკრებმა წარმატებით დაიწყო ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი ფეხბურთში – ჩვენებმა სტუმრად მოუგეს ბერძნებს 3-2, არადა, პირველ ტაიმს 0-2 ვაგებდით. შემდეგ ეტაპზე გასასვლელად საქართველოს ნაკრებმა აუცილებლად უნდა სძლიოს ჩეხეთის გუნდს, რომელიც თბილისში დღეს ჩამოდის და 17 ოქტომბერს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე ჩვენს ფეხბურთელებს ეთამაშება.*

# ზუგდიდის რჩეული ფეხბურთელები გალელები გახდნენ

ფეხბურთი კვლავ რჩება სამეგრელოს რეგიონის სპორტის წამყვან სახეობად. სიდუხჭირისა და მოუწყობელი ყოფის მიუხედავად სხვადასხვა დონის საფეხბურთო მატჩებში აქტიურად მონაწილეობენ და ქომაგობენ იძულებით გადაადგილებული პირები.

ამას წინათ დიდი ინტერესი გამოიწვია ზუგდიდის მერიის 1998 წლის ჩემპიონატმა. ორწრიან გათამაშებაში 9 გუნდი მონაწილეობდა, ზუგდიდის რჩეული ფეხბურთელები გალელები გახდნენ — „მზიური-2“-ის მოთამაშეებმა (მწვრთნელი ენვერ ქარდავა) ზუგდიდის ფეხბურთის ფედერაციის გარდამავალი თასი და პირველი ხარისხის დიპლომები მოიპოვეს, მომდევნო ადგილებზე გასულებმა — ზუგდიდის რაიონის სოფ. შამგონის და სოფ. დარჩელის ფეხბურთელებმა შესაბამისად მეორე და მესამე ხარისხის დიპლომები.

**ჯემალ გოგია,**
გათამაშების მთავარი მსაჯი,
„ლელოს“ ზუგდიდელი კორ.

## საწყლოსნო კომპლექსი 20 წლისაა

*20 წლის წინათ, 1978 წლის სექტემბერში, თბილისში მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე იქ, სადაც მანამდე ათწლეულების განმავლობაში ფიზკულტურელის პარკი და საცურაო აუზი იყო, გაიხსნა თანამედროვე საწყლოსნო კომპლექსი, რომელიც დღეს „ლაგუნა-ვერედ“ იწოდება.*

*იყო დრო, როცა ხსენებულ ტერიტორიაზე გაშენებულ ძველ საცურაო აუზს უდიდესი წვლილი შეჰქონდა საქართველოში წყალთა სახეობების განვითარებაში. მისი მემკვიდრე „ლაგუნა-ვერე“ ღირსეულად აგრძელებს ტრადიციას – დღეს ეს კომპლექსი ერთადერთია საქართველოში, რომელიც გამართულად მუშაობს (დირექტორი ვ. გოიაშვილი). კომპლექსის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით შაბათს დიდი ზეიმი ჩატარდება წყალზე. დღეს კი 15 საათიდან ასპარეზობას დაიწყებენ წყალბურთელები, რომლებიც თბილისის პირველობის პარალელურად „ლაგუნა – ვერე“ – „კოკა-კოლას“ პრიზს გაითამაშებენ. შეჯიბრება კვირას დამთავრდება.*



## ჯანმრთელობის კუთხე

### თერაპევტ ნინო აფაქიძის რედაქციით

წინა გამოშვებაში გაგაცანით თავის ტკივილის მოხსნა შესაბამის წერტილებზე მასაჟის ზემოქმედებით. ამჟამად გთავაზობთ სურდოს შეყრის შემთხვევისთვის თუ რომელ წერტილებს შეუძლია შეამსუბუქოს დაავადება და, ზოგიერთ შემთხვევაში, შეაჩეროს კიდეც მისი განვითარების სიმძიმე.



# სირცხვილი, რომელსაც საფეხბურთო მოედნის ჩარჩოები ველარ იტევს...

(პირველი გვერდიდან)

ასახელეს, რადგან გუცაევის ეროვნულ გუნდს 24 ივლისამდე ოფიციალური მატჩების ჩატარება არ უწევდა და სფფ საპრეზიდენტო არჩევნებს მოგებული საინფორმაციო ომის პერიოდში გამართავდა. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ გუცაევის, როგორც მწვრთნელის ტალანტმა ახალგაზრდულ ნაკრებთან მუშაობისას კი გაიბრწყინა, მაგრამ ტოტალური შედეგისათვის გუნდს არ მიუღწევია. მოკლედ, სფფ-ს ამოსავალი წერტილი მხოლოდ ერთი გახლდათ – ვლადიმერ გუცაევი ზედმიწევნით ეკუთვნოდა მის გუნდს.

გუცაევის მეთაურობით ეროვნულმა ნაკრებმა პირველი ნალდი გამოცდა უკრაინელებთან ჩააბარა და შერცხვა კიდეც (0-4). მერე იყო ალბანეთი, გულშემატკივრების სტვენა და გინება, მაგრამ Happy End-ი და პირველი სამი ქულა. გუცაევმა უკვე ალბანეთთან მატჩის წინ იგრძნო საფრთხე და მოგვახსენა, რომ ჩვენი ეროვნული გუნდის სახით შეკრულ, ჯანსაღ კოლექტივს ვერ ვხედავო. ნაკრების თავკაცს ჩვენმა „შეკერილ-დაკერილმა" კოლეგებმაც (ჟურნალისტებზეა ლაპარაკი) აუბეს მხარი და გულშემატკივრებს მხოლოდ იმას უკიჟინებდნენ, ჩვენი ფეხბურთელები ეროვნულ გუნდში უგულოდ ირჯებიანო. ასეთი ტენდენცია მართლაც არსებობს, მაგრამ ეს ჩვენს ბიჭებზე უფრ[illegible] ჩვენივე ეროვნული ნიჰილიზმის ბრალია (და ვინც ამ ნიჰილიზმს კიდევ უფრო ალვივებს). თუ ასეთი „ცუდები" არიან ჩვენი ფეხბურთელები, მაშინ რატომ დაუდგნენ ასე მედგრად იტალიელებს და რატომ გაუხადეს სათუო მსოფლიოს სამგზის ჩემპიონებს საფრანგეთი-98-ზე მოხვედრა? ის მატჩი (საქართველო – იტალია) ხომ უმოტივაციო იყო საქართველოს ნაკრებისთვის, განა სტიქიურად, შემთხვევით იფეთქა ჩვენი ბიჭების პატრიოტიზმმა? ასე რომ, კეისარს კეისრისა...

სამწუხაროდ, დღეს ერთობ ღარიბნი ვართ მაღალი კლასის ფეხბურთელებით (შესაძლოა სულაც არ გვყვანან ასეთები), თუმცა იმის რესურსი ნაღდად გაგვაჩნია, რომ ასე უსუსურად, სამარცხვინოდ არ გვქონდეს საქმე. მაგრამ თუ ქართული ფეხბურთის პატრონობას კვლავ იგივე ხალხს დავანებებთ, მალე ეს რესურსიც აღარ გვექნება. ნელ-ნელა კი არა, უკვე სპრინტერული ტემპით მივდივართ სულ უკან და უკან...

კი ბატონო, საფეხბურთო გუნდი და მით უმეტეს ეროვნული ნაკრები სათუთი მექანიზმი გახლავთ. მისი თავკაცის წამდაუწუმ შეცვლა უარყოფილი ტენდენციაა, ვის არ მოსვლია ჩავარდნები, შეცდომები, განა ყოველი ფეხის დაცდომაზე ხელი უნდა ვკრათ მწვრთნელს? მაგრამ ჩვენს შემთხვევაში სულ სხვაგვარადაა საქმე – ძალიან ცუდად და ძალიან მძიმედ. ხელის დაფარება არ გაგვიმართლებს, არა, რადგან, ამაზე შორს, სირცხვილი ველარსად წავა...

P.S. **სათქმელი, რა თქმა უნდა, კიდევ ბევრი გვაქვს. მაგრამ ახლა მთავარი სულ სხვაა – ჩვენ თვითონ უნდა ვძლიოთ ბოროტს, შურს, ღვარძლს, ამპარტავნობას. მხოლოდ სიკეთისა და ქართული ფეხბურთის სიყვარულის საფუძველზე უნდა გავაკეთოთ არჩევანი, უამისოდ ვერავინ და ვერაფერი გვიშველის.**

დათო თავართქილაძე

## საბერძნეთი — საქართველო 3-0

*საბერძნეთი:* ატმაციდისი, დაბიზასი, მარკოსი, უზუნიდასი, კალიცაკისი, პურსუნიდისი, ზაგორაკისი, ფრანცესკოსი (ვარტასი, 77), მახლასი (მავროგენიდისი, 85), ლიბეროპულოსი (იანაკოპულოსი, 70), გეორგიატოსი.
*საქართველო:* ტოგონიძე, კალაძე, კობიაშვილი, შელია, შეყილაძე, ყაველაშვილი (გახოკიძე, 59), ნემსაძე, ჯამარაული, ქეცბაია, ქინქლაძე, შ. არველაძე.
*გოლები* მახლასი (13), ლიბეროპულოსი (15), უზუნიდისი (36).
*გააფრთხილეს:* კალაძე, ქეცბაია, მარკოსი.
*მსაჯი:* ა. უზუნოვი (ბულგარეთი).

UEFA EURO 2000

## შესარჩევი ტურნირი

### 14 ოქტომბერი ევროპაში დიდი ფეხბურთის დღე იყო

### I ჯგუფი

**უელსი — ბელარუსი 3-2**
1-0 რობინსონი (14), 1-1 გურენკო (20), 1-2 ბელკევიჩი (48), 2-2 კოულმენი (53), 3-2 საიმონსი (88).
**შვეიცარია — დანია 1-1**
1-0 შაპიუზა (57), 1-1 ტობიასენი (90)

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| უელსი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-5 | 6 |
| დანია | 3 | 0 | 2 | 1 | 2-3 | 2 |
| ბელარუსი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| შვეიცარია | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |

### II ჯგუფი

**ნორვეგია — ალბანეთი 2-2**
0-1 ბუში (37), 0-2 ტარე (52), 1-2 რეკდალი (82 პ), 2-2 ბერგი (87).
**საბერძნეთი — საქართველო 3-0**
1-0 მახლასი (13), 2-0 ლიბეროპულოსი (15), 3-0 უზუნიდისი (36).
**სლოვენია — ლატვია 1-0**
1-0 უდოვიჩი (85).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლატვია | 3 | 2 | 0 | 1 | 4-2 | 6 |
| საბერძნეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 5-2 | 4 |
| სლოვენია | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| ნორვეგია | 3 | 1 | 1 | 1 | 5-6 | 4 |
| საქართველო | 3 | 1 | 0 | 2 | 1-4 | 3 |
| ალბანეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |



მეორე გოლი ლუქსემბურგელთა კარში შირერმა გაიტანა

### III ჯგუფი

**მოლდოვა — გერმანია 1-3**
1-0 გუზუნი (6), 1-1, 1-2 კირსტენი (19, 36), 1-3 ბირჰოფი (38).
**თურქეთი — ფინეთი 1-3**
0-1 პაატილაინენი (5), 0-2 იოჰანსონი (51), 1-2 თემიზკანოღლუ (73), 1-3 ლიტმანენი (90).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფინეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 6-4 | 6 |
| თურქეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-3 | 6 |
| გერმანია | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| ჩრდ.ირლანდია | 2 | 1 | 0 | 1 | 1-3 | 3 |
| მოლდოვა | 2 | 0 | 0 | 2 | 3-6 | 0 |

### IV ჯგუფი

**უკრაინა — სომხეთი 2-0**
1-0 სკაჩენკო (32), 2-0 გუსინი (83)
**საფრანგეთი — ანდორა 2-0**
1-0 კანდელა (53), 2-0 ჯორკაეფი (61).
**ისლანდია — რუსეთი 1-0**
1-0 კოვტუნი (88 ს.კ.)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 3 | 3 | 0 | 0 | 7-2 | 9 |
| საფრანგეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-3 | 7 |
| ისლანდია | 3 | 1 | 2 | 0 | 2-1 | 5 |
| სომხეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| რუსეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 4-7 | 0 |
| ანდორა | 3 | 0 | 0 | 3 | 1-7 | 0 |

### V ჯგუფი

**ლუქსემბურგი — ინგლისი 0-3**
0-1 ოუენი (19), 0-2 შირერი (40, პ.), 0-3 საუთგეიტი (90).
**ბულგარეთი — შვედეთი 0-1**
0-1 ლარსონი (62)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-0 | 6 |
| შვედეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 3-1 | 6 |
| ინგლისი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-2 | 4 |
| ბულგარეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 0-4 | 1 |
| ლუქსემბურგი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-7 | 0 |

### VI ჯგუფი

**სან-მარინო — ავსტრია 1-4**
0-1 ვასტიჩი (58), 0-2 მაირლები (64), 0-3 ჰიდენი (68), 0-4 (გლიდერი 76), 1-4 სელვა (80 პ.).
**ისრაელი — ესპანეთი 1-2**
1-0 ჰაზანი (63), 1-1 იერო (65), 1-2 ეჩებერია (77)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრია | 3 | 2 | 1 | 0 | 8-2 | 7 |
| ისრაელი | 3 | 1 | 1 | 1 | 7-3 | 4 |
| ესპანეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| კვიპროსი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-5 | 3 |
| სან-მარინო | 2 | 0 | 0 | 2 | 1-9 | 0 |

### VII ჯგუფი

**ლიხტენშტაინი — აზერბაიჯანი 2-1**
1-0 ფრიკი (47 პ), 2-0 ტესლერი (49), 2-1 ყურბანოვი (59).
**უნგრეთი — რუმინეთი 1-1**
0-1 მოლდოვანი (51), 1-1 ჰრუტკა (83).
**სლოვაკეთი — პორტუგალია 0-3**
0-1, 0-2 ჟოაო პინტუ (17,30), 0-3 შავიერი (70).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 9-1 | 7 |
| სლოვაკეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 7-3 | 6 |
| პორტუგალია | 3 | 2 | 0 | 1 | 6-2 | 6 |
| უნგრეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 6-4 | 4 |
| ლიხტენშტაინი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-12 | 3 |
| აზერბაიჯანი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-9 | 0 |

### VIII ჯგუფი

**ირლანდია — მალტა 5-0**
1-0, 2-0 რობი კინი (16, 19), 3-0 როი კინი (53), 4-0 ქუინი (62), 5-0 ბრინი (81)
**ხორვატია — მაკედონია 3-2**
0-1 ჩირიჩი (2), 1-1 შუკერი (16), 2-1 ბობანი (46), 2-2 საინოვსკი (55), 3-2 ბობანი (70)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირლანდია | 2 | 2 | 0 | 0 | 7-0 | 6 |
| ხორვატია | 3 | 2 | 0 | 1 | 7-5 | 6 |
| მაკედონია | 2 | 1 | 0 | 1 | 6-3 | 3 |
| მალტა | 3 | 0 | 0 | 3 | 1-13 | 0 |
| იუგოსლავია | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |

### IX ჯგუფი

**ლიტვა — ბოსნია 4-2**
0-1 კონჯიჩი (4), 1-1, 2-1 ივანაუსკასი (10, 67), 2-2 ბალიჩი (68), 3-2 ივანაუსკასი (75, 4-2 ბალტუშნიკასი (90).
**შოტლანდია — ფარერები 2-1**
1-0 ბარლი (22), 2-0 დუდსი (45), 2-1 პეტერსენი (86 პ.)
**ჩეხეთი — ესტონეთი 4-1**
1-0 ნედვედი (8), 2-0, 3-0 ბერგერი (21, 41), 4-0 მიტი (45 ს.კ.) 4-1 არბიტერი (90).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 8-2 | 9 |
| შოტლანდია | 3 | 2 | 1 | 0 | 5-3 | 7 |
| ლიტვა | 3 | 1 | 2 | 0 | 4-2 | 5 |
| ესტონეთი | 4 | 1 | 1 | 2 | 9-8 | 4 |
| ბოსნია | 4 | 1 | 1 | 2 | 5-8 | 4 |
| ფარერები | 5 | 0 | 1 | 4 | 1-9 | 1 |

# კალათბურთი ქუთაისში

(მეექვსე გვერდიდან)

ბი გამოვიდნენ, ქუთაისელებს მეორე ადგილი ხვდათ წილად.

1939 წელს ქვეყნის ჩემპიონობისათვის ბრძოლაში 50-მდე კოლექტივი ჩაება. სიძლიერის მიხედვით გუნდები დაყვეს „ა" და „ბ" ჯგუფებად. ქუთაისელები „ბ" ჯგუფში ასპარეზობდნენ, სადაც გუნდები რვა ზონად განაწილდნენ. ჩვენი ქალაქის სპორტულ ღირსებას „ნაუკას" ახალგაზრდული გუნდი იცავდა, რომელსაც ასპარეზობამ როსტოვის ზონაში მოუწია. აქ მოასპარეზე რვა გუნდი ორ ქვეჯგუფად დაიყო. ქუთაისელებმა თავიანთ ქვეჯგუფში დაამარცხეს ვორონეჟელები ანგარიშით 47:13, ნალჩიკელები – 47:3, ხოლო როსტოველებს სძლიეს ანგარიშით 22:12 და თავიანთ ზონაში პირველი ადგილი დაიკავეს. ფინალურ ასპარეზობაში ჩვენმა ბიჭებმა აჯობეს მოსკოვის „მეტალურგს" ანგარიშით 27:23, ბაქოს „დინამოს" – 35:28, ხოლო ლენინგრადის გემთმშენებელთან ფრედ 19:19 ითამაშეს და გუნდმა დაიკავა პირველი ადგილი და უფლება მოიპოვა ეასპარეზა ამა ქვეყნის ძლიერთა შორის.

ქუთაისელთა რიგებში იყვნენ: ალეკო მესხი, გივი სვანიძე, შოთა მესხი, მიშა ჩოგოვაძე, ბონდო ქუთელია და შოთა ქორქაშვილი.

1937-38 წლებში ქუთაისს არაერთი სახელოვანი საკალათბურთო კოლექტივი ესტუმრა. მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია სახელოვანი მოსკოვის „ლოკომოტივის" ოსტატთა გუნდის სტუმრობამ. მაყურებლებმა იხილეს საქვეყნოდ ცნობილი ოსტატების ალექსეევის, ბელიაევის, ჩუმაკოვის, ტიტოვის და გეოზდოვის მაღალი ოსტატობა. პირველ მატჩში „ლოკომოტივს" ქუთაისის არმიელებმა უმასპინძლეს. მართალია, მიხეილ ტყეშელაშვილმა, გოგი გოქსაძემ, ალიოშა და გრიშა მამაგეიშვილებმა და ბონდო გორდელაძემ ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს ცნობილ ოსტატებს, მაგრამ მაინც დამარცხდნენ მინიმალური ანგარიშით 28:29.

მეორე მატჩში ქუთაისის „მეცნიერებამ", რომელთა რიგებში იყვნენ ალეკო და კიჭო მესხები, გივი სვანიძე, ბონდო ქუთელია და მიშა ჩოგოვაძე ბრწყინვალედ იასპარეზეს და საპატიო სტუმრები დაამარცხეს ანგარიშით 20:14.

იმ პერიოდში საქართველოს განათლების განყოფილების ფიზაღზრდის ინსპექციის მოწვევით თბილისს ესტუმრა კიევის ბავშვთა სპორტული სკოლის კალათბურთელთა გუნდი. მასპინძლებმა დედაქალაქში საასპარეზოდ მიიწვიეს ქუთაისელი ჭაბუკებიც და თბილისში ჩატარდა „სამთა ტურნირი", სადაც ქუთაისელებმა ორივე მატჩში იმარჯვეს. ამის შემდეგ კიეველები ქუთაისს ესტუმრნენ და განმეორებით შეხვედრაშიც ანგარიშით 19:20 დამარცხდნენ მასპინძლებთან.

1938 წლის ოქტომბერში ქუთაისმა უმასპინძლა ერევნის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებს, რომელიც ადგილობრივმა „ნაუკამ" დაამარცხა ანგარიშით 34:18.

1940 წელს ჩატარებულ კალათბურთელთა რესპუბლიკურ ჩემპიონატზე ვაჟთა შორის, რვა მონაწილედან ორი ქუთაისის გუნდი იყო, „მეცნიერება" და ქალაქის ნაკრები. სტუდენტებმა თბილისის „ლოკომოტივის" შემდეგ საპატიო მეორე ადგილი დაიკავეს, ხოლო ქალაქის ნაკრები VI ადგილზე აღმოჩნდა.

მეორე მსოფლიო ომმა დროებით შეწყვიტა ქვეყნის მშვიდობიანი ცხოვრება. ომის სისხლიან გზას გაუყვნენ ქუთაისელი კალათბურთელებიც: ოთარ სულაბერიძე, ალიოშა მამაგეიშვილი, ბონდო ქუთელია, კუკური არლანაშვილი, ჯაჯა მამრიკაშვილი, კარლო ხურციძე, პეტრე ობელჩენკო, შალვა იმედაძე, თ. ლებანიძე, მ. ტყეშელაშვილი, მ. ბაშალეიშვილი და სხვები.

ხანმოკლე პაუზის შემდეგ განახლდა რესპუბლიკის სპორტული ცხოვრება. 1943 წელს გათამაშდა რესპუბლიკის კალათბურთელთა მორიგი მე-13 ჩემპიონატი, რომელსაც ქუთაისმა უმასპინძლა. ქების ღირსნი იყვნენ მასპინძლები. მათ შესანიშნავად წარმართეს შეხვედრები. დაამარცხეს სოხუმის ნაკრები – 115:17, ბათუმის „დინამო" 60:10, თბილისის „სპარტაკი" – 35:32 და მხოლოდ დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდნენ თბილისელ თანაკლუბელებთან, მინიმალური ანგარიშით 41:43. გადამწყვეტ მატჩში ქუთაისელი დინამოელები შეხვდნენ თბილისის წითელი არმიის საოლქო გუნდს, რომელიც იმ პერიოდში ჩვენი ქვეყნის ერთერთ უძლიერეს გუნდს წარმოადგენდა. შეხვედრის პირველი ნახევარი დამთავრდა ანგარიშით 14:9 ქუთაისელთა სასარგებლოდ. მეორე ტაიმში მასპინძლებმა კიდევ უფრო გააძლიერეს თამაშის ტემპი და შეძლეს მრისხანე მეტოქის დამარცხება ანგარიშით – 31:20.

ამრიგად, მასპინძლებმა დაძაბულ ბრძოლაში დამსახურებულად მოიპოვეს რესპუბლიკის 1943 წლის ჩემპიონის საპატიო წოდება. გამარჯვებული გუნდის სპორტულ ღირსებას იცავდნენ: ოთარ ქორქია, სულიკო თორთლაძე, ძმები ალეკო და შოთა მესხები, ჯუმბერ ნიჟარაძე, მიშა ჩოგოვაძე და ბონდო ქუთელია. გუნდის მწვრთნელი გივი სვანიძე იყო.

იმავე წლის ოქტომბერში თბილისს ეწვია ესტონეთის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდი. საყურადღებოა, რომ 40-იან წლებში ბალტიისპირელები მრისხანე ძალას წარმოადგენდნენ, როგორც საკავშირო, ასევე საერთაშორისო სარბიელზე. სტუმრების მდიდარ საკალათბურთო ტრადიციებს ამშვენებდა მათი მონაწილეობა ევროპულ ჩემპიონატებში. 1941 წელს ესტონელებმა პირველად მიიღეს მონაწილეობა 8 ქალაქის საკავშირო გათამაშებაში და საპატიო პირველი ადგილი დაიკავეს. თბილისში სტუმრებმა დაამარცხეს „დინამო" და ფრედ ითამაშეს „ლოკომოტივთან". დედაქალაქის მშრომელების თხოვნით მესამე მატჩში ესტონელები უნდა შეხვედროდნენ ქუთაისელ კალათბურთელებს და, აი, 4 ოქტომბერს კიროვის სახელობის კალათბურთის მოედნის ტრიბუნები ხალხით გადაიჭედა. ყველას აინტერესებდა საქართველოს 1943 წლის ჩემპიონი ქუთაისის „დინამო" შეძლებდა თუ არა საპატიო სტუმრების დამარცხებას.

შეხვედრა სწრაფ ტემპში დაიწყო. პირველსავე წუთებიდან გამოიკვეთა ქუთაისელების უპირატესობა. ფარქვეშ ოთარ ქორქიას თანაგუნდელები უხვად ამარაგებდნენ ბურთებით და ეს უკანასკნელი უშეცდომოდ ბომბავდა მეტოქის კალათს. საინტერესო მატჩი დამთავრდა ქუთაისელების დამსახურებული გამარჯვებით – 37:32. კარგად ითამაშეს ოთარ ქორქიამ, სულიკო თორთლაძემ და შოთა მესხმა. ამის შემდეგ ესტონელები ქუთაისს ესტუმრნენ. რა თქმა უნდა, ქუთაისელებმაც უდიდესი ინტერესი გამოიჩინეს სტუმრების მიმართ. როგორც ჩანს, ბალტიისპირელებმა დროულად აუღეს ალღო ქუთაისელების ყველასაგან განსხვავებულ კალათბურთის თამაშს და შეძლეს რევანშის აღება.

1944 წელს ქუთაისის დინამოელებმა კვლავ შეინარჩუნეს საქართველოს ჩემპიონის საპატიო წოდება და, რაც მთავარია, გუნდმა არაერთ საქალაქთაშორისო შეხვედრაში ისახელა თავი.

იმ პერიოდში რესპუბლიკურ სარბიელზე კარგი რეპუტაციით სარგებლობდა ქუთაისელ კალათბურთელ ქალთა ნაკრები გუნდი, რომელიც რესპუბლიკურ ჩემპიონატებში სისტემატურად იკავებდა საპრიზო ადგილებს. გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდნენ: მანია ლეჟავა, ქეთევან ადეიშვილი, ეთერ თოშხუა, ქეთევან ცირეკიძე, ნინა კვიმსაძე, ს. აფრიდონიძე, ე. სირაძე და შალამბერიძე.



1935 წელი. ქუთაისის „სპარტაკი". პავლე უგრეხელიძე, ბორის გორდელაძე, შოთა მესხი, სულიკო თორთლაძე, ბონდო ქუთელია



1938 წელი. ქუთაისის ლეგიონის გუნდი „დეკა". დგანან (მარცხნიდან) მიშა ტყეშელაშვილი, გოგი გოქსაძე, ალიოშა მგალობლიშვილი... პირველ რიგში: გრიშა და მიშა მამაგეიშვილები

ორმოცდაათიანელები

დოდიკ ხუნდაძე

# კაუჩუკის ბურთით დაიწყო...

თუ ვინმე გამოირჩეოდა თბილისის „დინამოში" თამაშის განსაკუთრებული ელეგანტური მანერით, ეს უპირველესად დოდიკ ხუნდაძეზე შეიძლება ითქვას. არადა, რა აშკარა „ელეგანტები" გვყავდა ჩვენს გუნდში — ავთანდილ ღოღობერიძე, ანდრო ზაზროევი, ავთანდილ ჭკუასელი, იური კურტანიძე, სლავა მეტრეველი, ვლადიმერ ბარქაია, გოჩა გავაშელი. დ. ხუნდაძე გამორჩეული იყო თანაგუნდელებს შორის. ლამაზად, ტექნიკურად, რაინდულად თამაშობდა. კაციშვილი არ წაუქცევია მის დღეში. დაიკაპიწებდა სახელოებს იდაყვებამდე, მოკეცავდა მკლავებს, თითქოს ბურთის ხელით თამაშისათვის ემზადებაო და...

— ამ ჩვევამ ერთხელ საკმაოდ ცუდი სამსახური გამიწია, — ებმევა საუბარში დავით ხუნდაძე, — არმიელები ერევნელებთან ვთამაშობდით თბილისში. ბურთი მოხრილ მკლავზე მომხვდა და ბუდესავით მოკალათდა მასში. მსაჯმა 11-მეტრიანი დანიშნა ჩვენს კარში ბურთის აშკარა „დაკავებისათვის". არადა, 1-0 ვიგებდით. სტუმრებმა გაქვითეს ანგარიში. გასახდელში ბიჭებმა მისაყვედურეს: „რა წესია, ჩამოუშვი ეგ ხელები, ფრენბურთელი ხომ არა ხარ!" იქვე ჩვენმა მწვრთნელმა ნესტორ ჩხატარაშვილმა დაუმატა — „ხვალვე წაგიყვან საოპერაციოდ წოპესთან, ეგებ რამე გიშველოს".

ბარემ იმასაც გეტყვით, რომ სულ გეტრებჩამოშვებული თამაშობდა და ბევრჯერ მიულია მსაჯის შენიშვნა. მერე კი აიწევდა ხოლმე მათ, მაგრამ მეორე წუთს არბიტრის ზურგსუკან კვლავ ჩამოუშვებდა.

— რა ვქნა, ვერ ვიტანდი გეტრებს, რატომღაც მეხამუშებოდა ფეხზე. სხვათა შორის, ბავშვობაში ძალით მაცმევდნენ წინდას...

ძველი თაობის გულშემატკივრებს, ცხადია, კარგად ახსოვთ თბილისის არმიელთა და დინამოელთა ნიჭიერი ნახევარმცველი, „ტოდო"-ს აღიარებული პენალტისტი დავით (დოდიკ) ხუნდაძე. ახსოვთ მისი მაღალტექნიკური, ლამაზი, თავდადებული, დაუღალავი და კორექტული თამაში, ახსოვთ მისი მახვილგონივრული კომბინაციები, ფილიგრანულად ზუსტი პასები, გოლები ცნობილი მეკარეების კარში.

...ერთ მშვენიერ დღეს, 7 წლისას ბიძამისმა კოლია ხუნდაძემ, ზესტაფონის ფეროს ქარხანაში რომ მუშაობდა ინჟინრად, თავიანთ საამქროში გაკეთებული კაუჩუკის ბურთი მოუტანა. მოზრდილი ვაშლის ხელა იყო. იმ დღიდან ბიჭმა მოსვენება დაკარგა. მათი სახლის გვერდით ფეროს დასახლების სამსართულიანი, ეგრეთ წოდებული „სტახანოველთა კორპუსის" უკან, მოსახერხებელი მოედანი იყო. დოდიკა ჯერ მარტო გავიდა ეზოში თავისი შავი ბურთით, მერე ტოლ-ამხანაგებიც გამოჩნდნენ. და დაიწყო... ონავრები მთელი დღე ბურთს დასდევდნენ. სახლში ეჩხუბებოდნენ, მეზობლებიც უკმაყოფილონი იყვნენ — შვილებს გვიცდენს სწავლისაგანო!

მალე „ნამდვილი" მატჩებიც გამართეს შორიახლო მდებარე მუხნარში ზედა და ქვედა საქარის თანატოლებთან, საყვარის უბნელებიც გამოიწვიეს საასპარეზოდ. დოდიკა საკმაოდ მოქნილი იყო, კარგადაც „მატაობდა", მაგრამ, რა დასამალია, ბიჭები უფრო იმიტომ ირჩევდნენ მას კაპიტნად, რომ ბურთის პატრონი იყო, იდეალი ყველას ერთი ჰყავდა — განუმეორებელი ბორის პაიჭაძე. რამდენჯერ გაუგონია დოდიკას ეროსი მანჯგალაძის დაუვიწყარ რადიორეპორტაჟებში ბორის პაიჭაძის, გაიოზ ჯეჯელავას, ავთანდილ ღოღობერიძის გვარები. სულ იმის ფიქრში იყო, ნეტავ ერთხელ ენახა ისინი თავისი თვალით: ნუთუ მართლა მოკლა პაიჭაძემ უძლიერესი დარტყმით კარში მდგარი მაიმუნი?!

ზესტაფონელ ბიჭებს საკუთარი კერპებიც ჰყავდათ თავიანთ ქალაქში — თავდამსხმელები ოთარ კირკიტაძე (მეტსახელად „კიუტა"), თამაზ ჩახოიანცი, მცველი აბგარ ენუქიძე, მეკარე ოთარ სამყურაშვილი, მერე „მეტალურგის" მწვრთნელი რომ გახდა.

კოლია ბიძიამ გაზეთში წაიკითხა განცხადება — ახალგახსნილი 35-ე საფეხბურთო სკოლა ნიჭიერ მოთამაშეებს იწვევს. ინტერნატში ჩარიცხულთა სწავლა-განათლება და „ჭამასმა" უზრუნველყოფილი იყო. მოსვენება დაკარგა ბიჭმა — წამიყვანეთ და წამიყვანეთ თბილისში! მატარებელში მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს, — რომ არ მიმიღონო?..

ისე კი, თეთრი ტილოს ფეხსაცმელი უჭერდა გვარიანად. მაგრამ, არა უშავს რა, ინტერნატში ახალ ბუცებს მომცემენ და ქუჩაშიც სულ იმით ვივლი, — ფიქრობდა ყმაწვილი. ლენინის სტადიონზე პირადად გაიოზ ჯეჯელავამ შეამოწმა მომავალი ფეხბურთელი — ჯერ ბურთის კენწვლაში, მერე კედელზე დახატულ კარში დარტყმებზე, ბოლოს თანატოლი ავთო მჭედლიშვილი შეაჯიბრა 60 მეტრზე რბენაში. დოდიკამ ცოტათი წააგო, რომ იტყვიან, კორპუსით. ცნობილმა ოსტატმა ახალბედა სკოლის შენობაში შეიყვანა: „აი, ეს იქნება შენი საწოლი, დღეში სამჯერ გექნება კვება". ახალბედამ პირველნი კლასში „კრაკადილა" თენგიზ ნიკურაძე და „კომბალა" ნოდარ ბახტაძე გაიცნო, მალე დამეგობრდნენ კიდეც.

დ. ხუნდაძე IX კლასში იყო, როდესაც არჩილ კიკნაძემ და ვახტანგ ბარკალაიამ საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების შემადგენლობაში საკავშირო ტურნირზე წაიყვანეს როსტოვსა (წინასწარი შეხვედრები) და ივანოვოში (ფინალი). ქართველმა ჭაბუკებმა ყველა მატჩი მოიგეს, მათ შორის ფინალში 1-0 დაამარცხეს მოსკოვის ნაკრები, რომელშიც თამაშობდნენ მომავალი ცნობილი ოსტატები ბორის ტატუშინი, მიხაილ ოგონკოვი, ბორის აგაპოვი და სხვანი. ბურთი თამაშის დასაწყისში შორი მანძილიდან (საჯარიმოს გარედან) ბორის ხასაიამ გაიტანა. გამარჯვებულები „პობედას" მაჯის საათებით დააჯილდოვეს სახელობითი წარწერებით. თბილისში მოსკოვის მატარებლით ბრუნდებოდნენ. სამი დღე-ღამე იყვნენ გზაში. ბროლის უზარმაზარი თასი ერთ-ერთ თაროზე მოათავსეს, მორიგე-„დარაჯიც" დაუნიშნეს. პირველსავე დღეს გუშაგობა დ. ხუნდაძეს ხვდა წილად. მხოლოდ ბ. ხასაია გაათავისუფლეს მორიგეობისაგან, რადგანაც... გამარჯვების ბურთი ჰქონდა გატანილი ფინალში.

X კლასში იყო დ. ხუნდაძე, როდესაც სკოლაში გიორგი ფაჩულიამ და ბორის პაიჭაძემ მიაკითხეს მას და ნოდარ ბახტაძეს. ორივე „დინამოში" წაიყვანეს, სათადარიგო შემადგენლობაში თამაშობდნენ... თბილისში. აი, გასვლებზე კი, არ მიჰყავდათ, ვინაიდან სკოლას ვერ გააცდენდნენ. სეზონის დამლევს ნესტორ ჩხატარაშვილმა სთხოვა მიხაილ იაკუშინს, -ხუნდაძე დამითმეო „ტოდოსათვის", მაინც დუბლებში თამაშობსო, ისიც მხოლოდ თბილისში. ასე მოხვდა დ. ხუნდაძე თბილისელ არმიელთა გუნდში, სადაც მისი უფროსი მწვრთნელის ნ. ჩხატარაშვილის მთავარი იმედი და, რა დასამალია, უსაყვარლესი შეგირდი გახდა. ბიჭები ხუმრობით „ნესტორას შვილობილს" უძახდნენ, ისე როგორც ადრე, „არჩილ კიკნაძის შვილობილს". დ. ხუნდაძე ნახევარდაცვაში ხან გიორგი ავეტისოვთან ერთად თამაშობდა, ხან ვოვა რამიშვილთან, ხან ავთო ხელაძესთან და ხან ვლადიმერ მიროშნიკოვთან. იგი გუნდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძალა გახდა. ჩვენმა არმიელებმა 1953 წელს ოდესაში მოიგეს შეიარაღებული ძალების საკავშირო პირველობა, ხოლო მომდევნო წელს ასეთივე ტურნირში ლვოვში გაიმარჯვეს.

— „ტოდოში" ხუთი სეზონი ვითამაშე. იმ პერიოდში დავოჯახდი კიდეც, მერე ბინა მომცეს ოპერის გვერდით, ეგრეთ წოდებულ „კადეტთა კორპუსში". ჩვენს გუნდში ცდკა-დან გადმოსულ ბორის კოვერზნევთან, ვსევოლოდ ჩაიჩუკთან, ალექსანდრ ზაიცევსკისთან და ბორის ანიხიპოვთან ერთ დღეს — 1958 წლის დამდეგს — სახლში შოთა შავგულიძე მეწვია: „რას იტყვი, დოდიკ, ერთოთახიან ბინას სამოთახიანი არ სჯობს?" თურმე „დინამოში" მეპატიჟებოდა კვლავ ბორის სიჭინავასთან და თენგიზ მელაშვილთან ერთად. ცხადია, დავთანხმდი. შეკრებაზე წამიყვანეს ლესელიძეში. მერე დიღმის ბაზაზე ავთანდილ ღოღობერიძესთან მომათავსეს ოთახში. უბედნიერეს კაცად ვთვლი თავს, რომ ამ დიდებულ ადამიანთან და ფეხბურთელთან ერთად ვთამაშობდი ნახევარდაცვის ხაზში და ვცხოვრობდი კიდეც ერთ ოთახში. ბევრი რამ ვისწავლე მისგან, უპირველესად კაცურკაცობა, რაინდობა, კაცთმოყვარეობა.

1958 წლის სეზონში დ. ხუნდაძემ თბილისის „დინამოში" 18 მატჩი (22-დან) ითამაშა ამ სახელმოხვეჭილი ფეხბურთელის გვერდით. მომდევნო საფეხბურთო სეზონისათვის მზადებისას დოდიკამ ფეხი იტკინა და იძულებული გახდა გუნდი მიეტოვებინა. ექიმებმა ქობულეთში მკურნალობა (პლაჟის ქვიშაზე რეგულარული სიარული) „გამოუწერეს". ქობულეთელებმა რომ შეიტყვეს მისი ჩამოსვლა, არ მოეშვნენ: „რომ განიკურნები, ჩვენს „შუქურაში" უნდა ითამაშოო!" ამ გუნდს იმხანად ძველი სპარტაკელი ტარიელ ეპიტაშვილი ავარჯიშებდა. დოდიკ ხუნდაძე ქობულეთელთა ღირსებას იცავდა სამი თვის განმავლობაში, სანამ რიგიდან მიიღო პიოტრ სტუპაკოვისაგან მიწვევა გადასულიყო „დაუგავაში". ლატვიის ამ გუნდში მაშინ თამაშობდნენ ცნობილი მეკარე ვლადისლავ ტუჩკუსი, მოსკოველ არმიელთა ყოფილი ნახევარმცველი ალექსანდრ გრიშინი და ყოფილი თბილისის დინამოელი ვლადიმერ ქვლივიძე.

— ორჯერ ვითამაშე თბილისის „დინამოს" წინააღმდეგ. წარმოიდგინეთ, ჩემს ყოფილ მეწყვილეს, ავთანდილ ღოღობერიძეს ვმეურვეობდი. ძალიან ვღელავდი, ცხადია. პირველი მატჩი თბილისში 0-0 დავასრულეთ, აი რიგაში კი მოვუგეთ „დინამოს" 2-1. რეპორტაჟი ლატვიის დედაქალაქიდან ეროსი მანჯგალაძეს მიჰყავდა. თამაშის შემდეგ გადამეხვია, ჩამკოცნა და ყველას გასაგონად თავისებურად წაიროხროხა: „ყოჩაღ, „რიგელო" ხუნდაძე, ბურთი რომ არ გაგვიტანე თბილისელებს!".

დ. ხუნდაძეს რიგის საპატიო მოქალაქეობა მიანიჭეს, მომდევნო წელსაც აპირებდა „დაუგავაში" დარჩენას, გუნდი აფრიკის ქვეყნებში ტურნეს ჩასატარებლად ემზადებოდა, როდესაც რიგაში მოულოდნელად შოთა შავგულიძე ეწვია. შორიდან დაიწყო: „ერთი მითხარი, დოდიკ, ჯუნგლები ჯობს თუ კორიდა?" ცხადია, კორიდა! — იყო პასუხი. მაშინ დაბრუნდი თბილისში, ჩვენი „დინამო" ლათინურ ამერიკაში მიემგზავრება — კუბაში, ეკვადორში, ბოლივიაში, ნამდვილ კორიდას დაესწრებით!

1961 წელს დ. ხუნდაძემ „დინამოში" 8 მატჩი ჩაატარა, მომდევნო სეზონში კი მხოლოდ ორი და სამ ათეულ წელს მიტანებულმა ოსტატმა ადგილი ახალგაზრდა ნიჭიერ გიორგი სიჭინავას დაუთმო. ამ დროისათვის შოთა იამანიძე თავდასხმიდან ნახევარდაცვაში გადაიყვანეს.

საქართველოს სპორტკომიტეტის მაშინდელმა თავმჯდომარემ გიორგი სიხარულიძემ დაითანხმა ვეტერანი ფეხბურთელი ქუთაისის „ტორპედოში" გადასულიყო — უჭირსო ავტოქარხნელთა გუნდს, უმაღლესი ლიგიდან ვარდება. დ. ხუნდაძესთან ერთად თენგიზ მელაშვილიც გადაიყვანეს ტორპედოელთა გუნდში. „ტორპედომ" მოიკრიბა ძალა — მოსკოვში ზედიზედ სძლია ადგილობრივ „დინამოს" (1-0), „ლოკომოტივს" (2-1), „ტორპედოს" (1-0) და მხოლოდ „სპარტაკთან" წააგო 0-2. ასე რომ, 8 შესაძლებლიდან 6 ქულა ჩამოიტანა შინ. შეგახსენებთ, რომ იმხანად გუნდის უფროსი იყო ნ. ჩხატარაშვილი, მწვრთნელები ი. ლობჟანიძე და ა. ნორაკიძე.

1964 წელს დ. ხუნდაძე გამოეთხოვა ქუთაისის „ტორპედოს" — „ბ" კლასში მოასპარეზე გურჯაანის „ალაზნის" მოთამაშე მწვრთნელი გახდა: ჯერ უფროს მწვრთნელს ანდრო ზაზროევს ეხმარებოდა, მერე ავთანდილ ვარდიაშვილს, ბოლოს კი სამი წლის განმავლობაში თავად იყო უფროსი მწვრთნელი. 1969 წელს ხაშურის „ივერიას" ჩაუდგა სათავეში — გუნდმა წარმატებით დაიწყო თამაში სახლშიც და გასვლებზეც.

სახელგანთქმულ ფეხბურთელს მიხეილ მესხს დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგ „ზემოთ"... დეზერტირების ბაზრის დირექტორობა შესთავაზეს. პასუხად გაისმა: „მე ყველაფერი ბურთმა მომცა და ბურთის გარეშე თავი ვერ წარმომიდგენია!" განუმეორებელ ქართველ მარცხენა გარემარბს ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლა „ავაზა" შეუქმნეს, სადაც მან მწვრთნელებად დოდიკ ხუნდაძე და ვოვა რამიშვილი მიიწვია. მთელი 15 წელიწადი იმუშავა აქ დ. ხუნდაძემ. ვინ მოთვლის, რამდენი ნიჭიერი ფეხბურთელი აღიზარდა „ავაზაში" — მიხეილ მესხი — უმცროსი, ვაჟა ქვანია, გოჩა ჯოხაძე, ვაჟა არქანია...

ამჟამად დავით ხუნდაძე ქართველ ვეტერანთა გუნდში თამაშობს წარმატებით და განსაკუთრებით გულმოდგინედ ემზადება მშობლიურ ზესტაფონელ ფეხბურთელებთან მატჩისათვის. შესაძლოა, მუხლი ისე აღარ ერჩის, მაგრამ გული ძველებური, ახალგაზრდული აქვს...

— რომელი მატჩი იყო თქვენთვის საუკეთესო?

— „დინამოში" ასეთი პარიზის „რესინგთან" 1958 წლის 11 ივლისის შეხვედრა გახლდათ. ფრანგების ყველაზე სახიფათო ფეხბურთელს ტადეუშ სიზოვსკის ვმეურვეობდი. მართალია, მან ორი ბურთი შეგვიგდო, მაგრამ ერთი გოლი იმ დღეს მეც გავიტანე (2-2). ეს გონგის შემდეგ იყო, ხუთი წუთი რომ აკლდა მატჩის დასასრულს. დაახლოებით 23 მეტრიდან დავარტყი სტუმართა კარში ძლიერად. ბურთი ცხრიანს შეეხო და ბადეში გაეხვია — ანგარიში გავქვითეთ. სიხარულით ბასას მოვახტი ზურგზე. ასე გაირბინა ჩვენმა კაპიტანმა ხუთიოდე მეტრი, მერე უცებ დამიყვირა: „ჩამოდი, შე მამაძაღლო, ძლივს ვსუნთქავ!" სხვათა შორის, მატჩის შემდეგ ბანკეტზე დინამოელებს გადმოგვცეს ბატონ ვასილ მჟავანაძის პირადი პრემიები — 200-200 მანეთი თითოეულს. შეზარხოშებულმა ფრანგებმა ცეკვა-თამაში გააჩაღეს. ტ. სიზოვსკი დამკვრელებთან ავიდა და ჯერ აკორდეონზე, მერე კი საყვირსა და საქსაფონზე შეასრულა პოპულარული ფრანგული სიმღერები, ბოლოს ისე გათამამდა, რომ მაგიდაზე ახტა და „ბუგი-ვუგი" იცეკვა.

რაც შეეხება „ტოდოს" აქ ბევრი მატჩი მახსენდება. თუნდაც ერევნელებთან თასზე თბილისში. 3-1 გავიმარჯვეთ, ერთი ბურთი გავიტანე. ანდა, შეხვედრა ბაქოელებთან (1-1), რომელთა კარს იმხანად სახელგანთქმული ვალტერ სანაია იცავდა. 0-1 ვაგებდით. აზერბაიჯანელთა კარში პენალტი დაინიშნა. ჩვენს გუნდში სამი წელიწადი მე ვასრულებდი 11-მეტრიანებს, ახლა კი, ცოტა არ იყოს, შიშისაგან ფეხები ამიკანკალდა: როგორ ცავურტყამეთქი. ისევ თენგიზ მელაშვილმა გამამხნევა: „როგორც მუდამ ურტყამ ხოლმე! ბოლოს და ბოლოს სანაიაა, რვაფეხა ხომ არა!" გამოვექანე და... ბურთი კარის დაბალ კუთხეში მოვათავსე.

— ვის მიიჩნევთ ჩვენს ფეხბურთში ყველა დროის საუკეთესო მოთამაშეებად?

— ცხადია, ლეგენდარულ ბორის პაიჭაძეს და არანაკლებ პოპულარულ ავთანდილ ღოღობერიძეს. მომდევნო თაობებიდან კი მიხეილ მესხს, სლავა მეტრეველს, მურთაზ ხურცილავას, ალექსანდრე ჩივაძეს, დავით ყიფიანს, მანუჩარ მაჩაიძეს...

მინდა დასასრულს ორიოდე სიტყვა ვთქვა ჩემს მეგობარ მიშა მესხზე. სასწაული კაცი იყო, ყველაფერი „11" უყვარდა — ფეხბურთელის მაისური, ტელეფონის ნომერი, ბინა, სკამი თეატრსა თუ კინოში, წარმოიდგინეთ, შამპანურიც კი. საქმე კურიოზებამდე მიდიოდა — თუ ვინმე ერთ ყუთ შამპანურს მიართმევდა, რომელშიც, მოგეხსენებათ, 12 ბოთლი ჩადის, მიშა ერთ ბოთლს ამოიღებდა ხოლმე და სადღაც მოისვრიდა.

— მიხარია, რომ მიშა მესხის თანასკოლელიც ვიყავი 35-ეში, თანაგუნდელიც „დინამოში" და თანამშრომელიც სახელგანთქმულ „ავაზაში".

ოთარ ნოზაძე

ფოტოები ავტორის არქივიდან



დინამოელი დოდიკ ხუნდაძე მართლაც რომ „მიეწება" თავის სახიფათო ვიზავის — მოსკოვის „სპარტაკის" ყველაზე ტექნიკურ და აგრესიულ თავდამსხმელს სერგეი სალნიკოვს (თბილისი. „დინამოსა" და „სპარტაკის" 1958 წლის პირველი წრის მატჩის ფრაგმენტი)



თბილისი. 1958 წელი. თბილისის „დინამო" მოსკოვის თანაკლუბელებთან მატჩის წინ. მარცხნიდან: ავთანდილ ღოღობერიძე, სერგო კოტრიკაძე, ნიაზ ძიაპშიპა, შოთა იამანიძე, გივი ხოჭოლავა, ავთანდილ ჭკუასელი, დოდიკ ხუნდაძე, ვლადიმერ ბარქაია, თენგიზ მელაშვილი, ალიოშა კოტრიკაძე, მიხეილ მესხი.




ვახტანგ კუციას მეგობრული შარჟი

# ახალგაზრდული ჩემპიონატი

## საბერძნეთი (ახალგაზრდული ნაკრები) — საქართველო (ახალგაზრდული ნაკრები) 3–2

*საბერძნეთი:* ლიპეროპულოსი, პაციცისი, პაციპროსი (გიორგოპულოსი, 70), ალექსოპულოსი, კულაკიცასი, მოსოგიანისი, კაფესი (ცაფალისი, 76), პაცაზოლლი, ჩოუტუსი (გალამელოსი, 45), კოსტანდინისი, ლიოლიდისი.

*საქართველო:* სოლოლაშვილი, რევაზიშვილი, ჭანკოტაძე, წერეთელი, მუჯირი; ჩხეტიანი, კვარაცხელია, ყიფიანი, დარასელია (მელქაძე, 58; დავითნიძე, 90), აშვეთია, წიტაიშვილი (შენგელია, 64).

*გოლები:* პაცაზოლლი (29), რევაზიშვილი (32), კოსტანტინიდისი (41), მუჯირი (45), კულაკიცასი (89).

*გააფრთხილეს:* მუჯირი, მოსოგიანისი, ყიფიანი.

*გააძევეს:* მოსოგიანისი, ყიფიანი.

### I ჯგუფი

**შვეიცარია — დანია 2-0**
**უელსი — ბელარუსი 0-0**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 2 | 2 | 0 | 0 | 3-1 | 6 |
| დანია | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| შვეიცარია | 2 | 1 | 0 | 1 | 2-1 | 3 |
| უელსი | 3 | 0 | 2 | 1 | 3-4 | 2 |
| ბელარუსი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-2 | 1 |

### II ჯგუფი

**ნორვეგია — ალბანეთი 4-1**
**საბერძნეთი — საქართველო 3-2**
**სლოვენია — ლატვია 0-1**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 3 | 3 | 0 | 0 | 9-2 | 9 |
| საბერძნეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 5-4 | 4 |
| საქართველო | 3 | 1 | 0 | 2 | 4-5 | 3 |
| ლატვია | 3 | 1 | 0 | 2 | 2-4 | 3 |
| ალბანეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-4 | 3 |
| სლოვენია | 3 | 0 | 1 | 2 | 2-5 | 1 |

### III ჯგუფი

**მოლდოვა — გერმანია 0-2**
**თურქეთი — ფინეთი 1-1**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-1 | 7 |
| ფინეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| გერმანია | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| ჩრდ.ირლანდია | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| მოლდოვა | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |

### IV ჯგუფი

**უკრაინა — სომხეთი 8-0**
**ისლანდია — რუსეთი 1-2**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 2 | 2 | 0 | 0 | 9-0 | 6 |
| რუსეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-3 | 6 |
| საფრანგეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| სომხეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-9 | 3 |
| ისლანდია | 3 | 0 | 0 | 3 | 2-7 | 0 |

### V ჯგუფი

**ბულგარეთი — შვედეთი 2-1**
**ლუქსემბურგი — ინგლისი 0-5**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 3 | 3 | 0 | 0 | 8-0 | 9 |
| პოლონეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 7-2 | 4 |
| ბულგარეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| შვედეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |
| ლუქსემბურგი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-10 | 0 |

### VI ჯგუფი

**ისრაელი — ესპანეთი 0-4**
**ჰოლანდია — ავსტრია 3-2**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 7-1 | 6 |
| ჰოლანდია | 2 | 2 | 0 | 0 | 6-2 | 6 |
| კვიპროსი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-4 | 3 |
| ისრაელი | 3 | 1 | 0 | 2 | 1-7 | 3 |
| ავსტრია | 3 | 0 | 0 | 3 | 3-6 | 0 |

### VII ჯგუფი

**უნგრეთი — რუმინეთი 1-2**
**სლოვაკეთი — პორტუგალია 1-0**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლოვაკეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 3-1 | 6 |
| პორტუგალია | 3 | 1 | 1 | 1 | 4-2 | 4 |
| რუმინეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| აზერბაიჯანი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| უნგრეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-7 | 0 |

### VIII ჯგუფი

**ირლანდია — მალტა 2-1**
**ხორვატია — მაკედონია 4-0**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 3 | 2 | 1 | 0 | 7-2 | 7 |
| ირლანდია | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| მაკედონია | 2 | 1 | 0 | 1 | 1-4 | 3 |
| იუგოსლავია | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |
| მალტა | 3 | 0 | 0 | 3 | 1-6 | 0 |

### IX ჯგუფი

**ლიტვა — ბოსნია 4-0**
**ჩეხეთი — ესტონეთი 3-0**
**ბელგია — შოტლანდია 2-0**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-0 | 8 |
| ბელგია | 3 | 2 | 0 | 1 | 5-3 | 6 |
| ლიტვა | 3 | 1 | 1 | 1 | 4-1 | 4 |
| ბოსნია | 3 | 1 | 1 | 1 | 3-6 | 4 |
| შოტლანდია | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| ესტონეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-8 | 0 |

**ამ დღეებში კორესპონდენტებმა რამდენიმე კითხვით მიმართეს საფრანგეთის ნაკრების მეკარეს, 36 წლის ბერნარ ლამას.**



# ანაშას დოპინგად არა თვლის

● ***ბოლო ხანს საფრანგეთში გახშირდა ფეხბურთელების მიერ დოპინგის მიღებასთან დაკავშირებული სკანდალები.***

— ხოლო ჩემს გარშემო ატეხილი აურზაური ყველაზე უფრო დიდია, არა? ადრეც მითქვამს და ვიმეორებ, რომ ჩემს საქციელში რაიმე საშინელს ვერა ვხედავ. იგი ძალიან გაბუქეს, უბრალოდ, მაშინ ძალზე შესამჩნევი ფიგურა ვიყავი — ნაკრების ძირითადი მეკარე. ჩემს მაგივრად ვინმე სხვა რომ ყოფილიყო, ასეთი ხმაური არ ატყდებოდა.

● ***დოპინგის მიღებით ცდილობთ ძალების შენარჩუნებას?***

— „ბალახს" ძალების შენარჩუნების მიზნით კი არ ვეწეოდი. შესაძლოა, ეს თქვენ გულუბრყვილოდ მოგეჩვენოთ, მაგრამ ამას საერთოდ არ ვთვლი დოპინგად. ჩემს სამშობლოში — საფრანგეთის გვიანაში, ეს საკმაოდ გავრცელებულია, ისევე, როგორც ევროპულისათვის თამბაქოს მოწევაა.

● ***და, მაინც, სწორია თუ არა, რომ თქვენ ამ ბოლო ხანებში უფრო სკანდალებით იპყრობთ ყურადღებას, ვიდრე საიმედო თამაშით?***

— ყოველთვის ასე ვიქცეოდი, მაგრამ რახან ქვეყანაში საუკეთესო მეკარე ვიყავი, ყველაფერს მაპატიებდნენ ხოლმე. ახლა კი ჩემი ხასიათის მოთოკვას ვცდილობ.

● ***რას იტყვით თქვენი ახლანდელი თამაშის შესახებ?***

— მეუბნებიან, რომ დროა გზა ახალგაზრდებს დავუთმო, მაგრამ ცხოვრება უფეხბურთოდ ვერ წარმომიდგენია, თავის დროზე მამაჩემს ძალზე გავუცრუე იმედები, როცა ეს გზა ავირჩიე, მაგრამ ფეხბურთი ხომ ჩემი გზაა.

● ***მამა რაღას მოითხოვდა თქვენგან?***

— იგი ქირურგი იყო და უნდოდა მეც მის გზას გავყოლოდი, თუ არა და, რაიმე სხვა პრესტიჟული პროფესია ამერჩია, განათლება მიმეღო. ხშირად ვისჯებოდი იმის გამო, რომ გაკვეთილების მომზადების ნაცვლად პლაჟზე ბურთს დავდევდი. მაგრამ არ მინდოდა იმაზე უარის თქმა, რაც ცხოვრებაში ყველაზე მეტად მიყვარდა. არც ახლა ვნანობ რასმე.

ბოლო წლები ლამასათვის არ იყო მაინცდამაინც წარმატებული. „პარი სენ-ჟერმენიდან" რომ დაითხოვეს, ერთხანს ლონდონის „ვესტჰემ იუნაიტედში" აღმოჩნდა. ახლა ყველაფერი გამოსწორდა, ისევ „პარი სენ-ჟერმენში" დაბრუნდა, ბარტეზის ავადმყოფობამ ისევ მისცა საფრანგეთის ნაკრებში გამოსვლის საშუალება. არც 36 წელია მეკარისათვის მაინცდამაინც კრიტიკული ასაკი.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

*„ნაპოლი" აუცილებლად აღდგება! — ასე ფიქრობს „სერია B"-ში გადასული იტალიის ექს-ჩემპიონის რუსი ფეხბურთელი იგორ შალიმოვი. ეს ის კლუბია, სადაც თავისი საუკეთესო წლები გაატარა მარადონამ და იგი სერია „A"-ში ამავე სეზონის დამთავრებისთანავე უნდა დაბრუნდეს.*

*სწორედ ამ მიზნით მოწვეულია ცნობილი მწვრთნელი ულივიერი, რომელმაც იცის, როგორ უნდა იმოქმედოს ასეთ შემთხვევაში — თვლის ულივიერი.*

საფრანგეთის ნაკრებში ახალი ნიჭიერი თავდამსხმელი გამოჩნდა — ქვეყნის ჩემპიონ „ლანსის" ფეხბურთელი ტონი ვერელი. იგი, „პარი სენ-ჟერმენში" მოთამაშე რუსი იგორ იანოვსკის აზრით, საფრანგეთის ჩემპიონატის თუ ყველაზე უკეთესი არა, ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა და, ნაკრებში მიწვევაც სავსებით დაიმსახურა.

*ვლადიკავკაზის „ალანიამ" კიდევ იყიდა ორი ახალი ბრაზილიელი, რომლებიც დეკემბერში სეზონის დამთავრების შემდეგ შეუერთდებიან გუნდს. ესენია მარცხენა მცველი ელიო ბატისტა და თავდამსხმელი ჯეფერსონ ბატისტა. ახლა გუნდის ხელმძღვანელობას მოლაპარაკება აქვს ლიტვის კლუბთან, საიდანაც სურს საუკეთესო მოთამაშეების შეძენა.*

მძიმე ტრავმის გამო მთელი 6 თვე გაუცდა „ლივერპულის" განთქმულ თავდამსხმელ ბობი ფაულერს. ამის გამო მან, ინგლისის ჩემპიონატის ერთ-ერთმა საუკეთესო სნაიპერმა, მსოფლიო პირველობაც კი გამოტოვა. ახლა 23 წლის თავდამსხმელი კვლავ მწყობრშია, გოლები გააქვს და „ლივერპულის" ხელმძღვანელობას კვლავ დიდ იმედებს აძლევს.

*იმ მოთამაშეებს შორის, რომლებმაც გერმანულ ბუნდესლიგაში ამ ახალი სეზონიდან მიიქციეს ყურადღება, გამოირჩევა „ჰამბურგერ შპორტფერაინის" მეკარე ჰანს-იორგ ბუტი. ამბობენ, რომ მოსვენებას არ აძლევს განთქმული პარაგვაელი „მეკარე-გოლეადორის" ხოსე-ლუის ჩილავერტის სახელი.*

*როცა ჰამბურგელებს პენალტის უფლება ეძლევათ, ყოველთვის ჰანს-იორგ-ბუტი ურტყამს და... ყოველთვის იყენებს.*

როცა მადრიდის „რეალის" ახლანდელ კარგ თამაშზეა ლაპარაკი, უპირველეს ყოვლისა გამოყოფენ სამ ფეხბურთელს: ბრაზილიელ სავიოს, რომელიც ნახევარდაცვის მარჯვენა ფრთაზე მოქმედებს, მარცხენა მცველ კრისტიან პანუჩის (იტალია) და საყრდენ ნახევარმცველ ფერნანდო რედონდოს (არგენტინა). ისინი ენერგიით ალსავსენი არიან, რასაც იმას მიაწერენ, რომ არც ერთი მათგანი მსოფლიო ჩემპიონატში... არ მონაწილეობდა!

*ლატვიის ჩემპიონატში სულ 8 კლუბი თამაშობს — 4 წრედ. რიგის „სკონტოს" არც ადრე და არც ახლა ჰყოლია ღირსეული მეტოქე. ყურადღება მიიპყრო 24-ე ტურის მატჩის შედეგმა მეხუთე ადგილზე მყოფ „ვალმიერასთან", რომელიც რიგელებმა მოიგეს ასტრონომიული ანგარიშით 15-2. ასეთი შედეგი ლატვიის ჩემპიონატს საერთოდ არ ახსოვს, ისიც ძნელი სათქმელია, სადმე მომხდარა ამის მსგავსი რამე? საყურადღებოა, აგრეთვე, რომ „სკონტოს" ორმა მოთამაშემ: პახარმა და მიხოლაპმა ამ მატჩში 5-5 გოლი გაიტანა.*

მოსკოვის რუსეთის მეორე დივიზიონის „ტორპედო-ზილს" გარანტირებული აქვს პირველ დივიზიონში გადასვლა. ამ წარმატებას მიმომხილველები კლუბში შექმნილ კარგ საბრძოლო სულისკვეთებასთან ერთად, ვეტერანების ჩინებულ მოქმედებასაც მიაწერენ, რომელთა შორის გამოირჩევიან მცველი ოლეგ შირინბეკოვი, ნახევარმცველი გლებ პანფეროვი და თავდამსხმელი ალექსეი სნიგირიოვი.

გუნდის ახალი მწვრთნელი ბორის იგნატიევი, რომელიც ამ ზაფხულამდე რუსეთის პირველ ნაკრებს ხელმძღვანელობდა, ახალ შეგირდებზე დიდ იმედებს ამყარებს.

# „მონარქი" აღმოსავლეთსაც ჰყავს

ტრავმამ „King kazu"-ს ყველაფერი ჩაუფლავა, ყველაფერი, რისთვისაც დიდხანს, გამალებული და, თუ გნებავთ, გაშმაგებული ისწრაფვოდა...

ის ხომ მეფეა, მეფე, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატზეც თავისი ეროვნული გუნდისთვის მზად იყო ყველაფერი გაეღო, არა მარტო აზიისათვის, არამედ დანარჩენი მსოფლიოსათვის დაემტკიცებინა, რომ ის ნამდვილი „King kazu"-ა. მაგრამ განგებამ ეს არ მოისურვა. დღეს „კაზუ" უფრო მეფე-ჩვენებაა, ვიდრე ნაღდი მეფე, მაგრამ მაინც ხომ მეფეა?!

კაზუიში მიურა სახელგანთქმული კორპორაციის „Fuji"-ის სამშობლოში, ქალაქ შიზუოკაში დაიბადა (26.2. 1967). მისი ტალანტი იაპონიის ფეხბურთის ასოციაციისათვის უკვე მაშინ გახდა ცნობილი, როცა ის, 15 წლის მიურა, უმაღლესი სკოლის სტუდენტი იყო და ამ ორგანიზაციის სპეციალური პროგრამის წყალობით თინეიჯერი კაზუიში ბრაზილიაში, სან პაულოში მიავლინეს სტაჟირებაზე. ამომავალი ქვეყნის წარგზავნილებიდან მხოლოდ „კაზუმ" ივარგა და უკვე თინეიჯერობის ასაკში პროფესიონალი ფეხბურთელი გახდა, თანაც ბრაზილიაში. „პირველი სამი წელიწადი საკმაოდ გამიჭირდა, ხშირად სამშობლოში დაბრუნებისკენაც მიმიწევდა გული. შემდეგ მდგომარეობა გამოსწორდა — მძღოლის ლიცენზია ავიღე და უკვე შემეძლო თვითონ, დამოუკიდებლად მიმეხედა საკუთარი თავისთვის. როგორც ფეხბურთელმა, ბრაზილიაში ვისწავლე გამომემუშავებინა მაღალი მორალური თვისებები და კიდევ ის, რომ არასდროს დავკმაყოფილებულიყავი მიღწეულით. ყოველთვის უნდა ეცადო ააშენო შენი მენტალური სული" — იხსენებს ბრაზილიაში გატარებულ წლებს კაზუიში. ის 19 წლის იყო, როცა ლეგენდარულ „სანტოსში" გადავიდა. ხშირად ხვდებოდა ძირითად შემადგენლობაში, გოლებიც გაჰქონდა, მაგრამ გუნდის წამყვან მოთამაშედ ვერ იქცა. მიუხედავად ამისა, „სანტოსს" სჯეროდა მისი და კონტრაქტის გაუქმებას სულაც არ აპირებდა — 23 წლის მიურამ თვითონ მოისურვა არჩევანი გაეკეთებინა და, რვაწლიანი განშორების შემდეგ, სამშობლოში დაბრუნდა. მასზე ბევრი იაპონური კლუბი ნადირობდა, საბოლოოდ კი ყველას „ვერდი კავასაკიმ" აჯობა, „კაზუზე" მთელი ქვეყანა ალაპარაკდა, მალე მთელი აზიაც — მიურამ ბრაზილიური ფინტებით ნამდვილი სამბოს დღესასწაული მოაწყო აზიის ჩემპიონატზე (1992 წ) და იაპონიას პირველად მოაპოვებინა კონტინენტის ჩემპიონობა. მომდევნო წელს უკვე „ვერდი კავასაკის" გაამარჯვებინა ჯეი ლიგის (J. League), ანუ იაპონიის ეროვნული ჩემპიონატის პირველ გათამაშებაში. კაზუიში მიურას სახელი აზიის ფეხბურთის მეფესთან გააიგივეს — ის „King Kazu" გახდა. მისით აპენინზეც დაინტერესდნენ და „ჯენოამ" 1994-95 წლების სეზონის დამდეგს კონტრაქტი გააფორმა აზიელთა მეფესთან. მაგრამ, მისდა სამწუხაროდ, იტალიურმა ფეხბურთმა ვერ იგუა აღმოსავლური მეფე. იტალიის ჩემპიონატი (1994-95) ახალი დაწყებული იყო, როცა მიურას ხელი მოეცარა — მილანელ ფრანკო ბარეზისთან საჰაერო ორთაბრძოლისას ცხვირისა და ყბის მძიმე ტრავმა მიიღო. ამის გამო, „კაზუს" ბევრი გაუცდა, ფსიქოლოგიურადაც დაითრგუნა და სეზონში მხოლოდ ერთი ბურთის გატანაღა მოახერხა თანაქალაქელთა დერბში („ჯენოა" — „სამპდორია"). მიუხედავად წარუმატებლობისა, „კაზუს" ტალანტს ევროპაში მაინც აფასებდნენ — ლისაბონის „სპორტინგი" ერთობ მოწადინებული იყო მისი გადაბირებით, მაგრამ მიურამ პორტუგალიელებს უარი შეუთვალა და სამშობლოს მიაშურა.



კაზუიში მიურა — აზიური ფეხბურთის მეფე

დრომ, სიმყუდროვემ, მშობლიურმა გარემომ კაზუიში მიურა ფეხზე წამოაყენა. დიდი წარმატებით გამოდიოდა ჯეი ლიგაში, ნაკრებშიც ნამდვილი ლიდერი გახლდათ და თანაგუნდელთა რჩევა-დარიგებებიც ნებადართული ჰქონდა მწვრთნელებისგან. ევროპისკენ კი „კაზუ" აღარ იხედებოდა — ფინანსურად კარგად იყო უზრუნველყოფილი, ხოლო სულიერ საზრდოდ ეროვნული გუნდის „საფრანგეთი-98"-ზე მოხვედრა და მონდიალზე იაპონური სენსაციის მოხდენა ეგულებოდა. კაზუიში მიურა ამისთვის მზად იყო, მისი ოცნებები არც თუ ისე არარეალურად გამოიყურებოდა, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა „საფრანგეთი — 98"-ის შესარჩევ ციკლში „კაზუმ" 14 გოლი გაიტანა და ეროვნულ გუნდს მონდეალის საგზური მოაპოვებინა. „მართალია, ახალ თაობას მეტი ძალა შესწევს, მას ხომ ასაკი უწყობს ხელს, ხალხსაც სურს ცვლილებები იხილოს. დროს თავისი მიაქვს, მაგრამ მჯერა, რომ მეც იგივე უნარი შემწევს, რაც სხვებს და აგრეთვე ის უნარიც გამაჩნია, რაც სხვას არა აქვს" — 31 წლის „კაზუ" მართლაც ამბიციურად იყო განწყობილი, ის ხომ ასეთ შანსს მთელი კარიერის განმავლობაში სულმოუთქმელად ელოდა, თუმცა ოცნება ცხვირწინ გაუფრინდა, რომლისკენაც დიდხანს, გამალებული და თუ გნებავთ, გაშმაგებული ისწრაფვოდა, მაგრამ...

მიურა მაინც „King Kazu"-დ რჩება!



„კაზუს" გული იაპონიას ეკუთვნის

**"FIFA MAGAZINE"-დან**
**მოამზადა**
დათო თავართქილაძე

## ქუთათურთა სპორტული მატიანე

რუბრიკას უძღვება ზურაბ ჯაჯახაძე

# კალათბურთი ქუთაისში

მეორე წერილი



ქუთაისელი მოსწავლე კალათბურთელები (მარცხნიდან): ოთარ ქორქია, შაკია გერაძე, შოთა ქორქაშვილი, ჭუკია ლებანიძე და იონა აფრიდონიძე (შაკია გერაძე შემდეგ ფეხბურთელი გახდა).

1936 წლის ზაფხულში ქალაქის სტამბის ბაზაზე ჩამოყალიბდა კალათბურთელ ვაჟთა გუნდი „პრავდას“ სახელწოდებით. გუნდის სპორტულ ღირსებას იცავდნენ: ანესტი აფანასიდი, სანდრო ჭეიშვილი, კოლია მატარაძე, არისო აფანასიდი, კონსტანტინე დალაქიშვილი, ტუტუ ლევიძე, კაკო გაბადაძე, პეტრე იაშვილი და ვახტანგ ხუციშვილი. ახლად შექმნილი გუნდი წარმატებით ასპარეზობდა საქალაქო და რესპუბლიკურ ტურნირებში. სულ მალე გუნდს დაემატნენ სოკრატ გრამატიკოპულო, პარმენ ერაძე, ვალოდია მიხაილიდი და შალვა მესხორაძე.

იმავე წელს ცნობილი მწვრთნელის გოგი გოქსაძის ინიციატივით „პრავდას“ ქალთა გუნდი შეიქმნა. წლების მანძილზე მარგალიტა ყიფიანი, ქეთო კანდელაკი, აგრაფინა ჭუმბურიძე, მარიამ კვიცარიძე, თათუშა ძოწენიძე და ევგენია ბაზაძე აღნიშნული კლუბის ღირსეული წევრები იყვნენ.

1938 წელს საკავშირო სარბიელზე დებიუტი ჰქონდათ ქუთაისელ კალათბურთელებს. ქვეყნის ჩემპიონატში მონაწილე პირველხარისხოვანი გუნდები ასპარეზობდნენ ზონების მიხედვით, სადაც გამარჯვებულები გაითამაშებდნენ ფინალს და გამარჯვებული გუნდი გამოცხადდებოდა ქვეყნის ჩემპიონად. ქუთაისელი კალათბურთელები ამიერკავკასიის ზონაში ასპარეზობდნენ, სადაც პირველი ადგილისათვის მათთან ერთად იბრძოდნენ თბილისის „ლოკომოტივი“ და ერევნის „ნაუკას“ გუნდები. გამარჯვებული თბილისელი კალათბურთელე-

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო“ № 80

იხ. მე-3 გვ.

## ნიჭი და არჩევანი

### ოცნებობდა ფეხბურთელობაზე, აღმოჩნდა... „დინასტიაში“



კინოსერიალ „დინასტიაში“ თუ ვინმე იქცევს ყურადღებას, როგორც დადებითი პიროვნება, ჯერჯერობით მაინც ჯეფ ქოლბია, რომელსაც მომხიბლავი მსახიობი ჯონ ჯეიმსი განასახიერებს. მაგრამ კინომსახიობობაზე თურმე იგი არც ოცნებობდა – ყმაწვილობიდან გატაცებული ყოფილა ფეხბურთით და პერსპექტივასაც უწინასწარმეტყველებდნენ. სამწუხაროდ, ტრავმა მიიღო და ექიმებმა კატეგორიულად ურჩიეს ხელი აეღო ფეხბურთზე, სხვა რამ „მონათესავე“ პროფესია აერჩია. ჯონიც ადგა და დრამატული ხელოვნების აკადემიაში შევიდა, რაც ხელოვნებასთან დაახლოებული მისი მშობლების ოცნებაც იყო. მაგრამ ჯონიმ აკადემია არ დაამთავრა, სწავლის დასრულებამდე სულ რაღაც ორი თვით ადრე შეწყვიტა სტუდენტობა, რადგან თავის პირველ ფილმში „ხვალის ძიებაში“ მიიწვიეს. მერე იყო სხვა კინოფილმებიც, მაგრამ მეტწილად თეატრში გამოდის, მერე დაეუფლა ესტრადასაც და საკუთარი ალბომიც გამოუშვა. „დინასტია“ მისი ბოლო კინოფილმია... ჯერჯერობით.

### ლას-ვეგასში, 29 ნოემბრიდან

ფიდემ საბოლოოდ დააზუსტა მსოფლიოს 1998 წლის საჭადრაკო ჩემპიონატის ჩატარების თარიღი. შეჯიბრება დაიწყება ლას-ვეგასში (აშშ, ნევადის შტატი) 29 ნოემბერს და 27 დეკემბრამდე გასტანს.

საპრიზო ფონდი 3 მილიონი დოლარია. ჩემპიონატი „ბელაჯიო კაზინოს“ შენობაში ჩატარდება.



## დონ კინგი: ყველაზე საინტერესო მატჩი

როგორც ცნობილმა პრომოუტერმა დონ კინგმა ლონდონში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, – ყველაზე საინტერესო, რაც ამჯერად კრივის სამყაროს ელის, ორი მსოფლიო ჩემპიონის – ევანდერ ჰოლიფილდისა (აშშ) და ლენოქს ლუისის (ინგლისი) შეხვედრაა. ახლა ამ ბრძოლის შესახებ საბოლოო მოლაპარაკება მიმდინარეობს და ფიქრობენ, რომ იგი მერმისს, 30 ივნისს გაიმართება.

## ჭადრაკის სამყაროში

### 20 უძლიერესი დღეისათვის

საერთაშორისო ორგანიზაციამ „მსოფლიო საჭადრაკო საბჭომ“ გამოაქვეყნა თავისი მორიგი „რეიტინგ-ლისტი“, რომელიც ასე გამოიყურება.

1. გარი კასპაროვი (რუსეთი) – 2808 პუნქტი. 2. ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) – 2752. 3. ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) – 2738. 4. მაიკლ ადამსი (ინგლისი) – 2703. 5. პეტრე სვიდლერი (რუსეთი) – 2703. 6. გატა კამსკი (აშშ) – 2701. 7. ალექსეი შიროვი (ესპანეთი) – 2699. 8. ვასილი ივანჩუკი (უკრაინა) – 2692. 9. ანატოლი კარპოვი (რუსეთი) – 2687. 10. პეტერ ლეკო (უნგრეთი) – 2676. 11. ევგენი ბარეევი (რუსეთი) – 2674. 12. ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) – 2673. 13. ბორის გელფანდი (ისრაელი) – 2670. 14. ნაიჯელ შორტი (ინგლისი) – 2670. 15. ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) – 2662.

### მწვრთნელი ჯერჯერობით აღემატება მოწაფეს

ფრანგული ჭადრაკი ამ ბოლო წლებში საგრძნობლად მომძლავრდა. ამაში გარკვეული როლი რუსეთიდან გადასახლებულმა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ბორის სპასკიმ, დიდოსტატები იოსებ დორფმანმა და ანატოლი ვაისერმაც შეასრულეს.

ამას წინათ მერიბელში (საფრანგეთის ალპები) ჩატარდა საფრანგეთის ჩემპიონატი 8 დიდოსტატისა და ამდენივე ოსტატის მონაწილეობით. შარშან, როცა შემადგენლობა გაცილებით უფრო სუსტი იყო, ჩემპიონის წოდება ვაისერს დარჩა. მართალია, არც წლეულს თამაშობდა საფრანგეთის უძლიერესი მოჭადრაკე ჟოელ ლოტიე, ბორის სპასკი კი ასეთი ტიპის შეჯიბრებებში საერთოდ არ მონაწილეობს.

ამჯერად 15 შესაძლებლიდან 10 ქულით პირველი ადგილი ყოფილმა ლვოველმა იოსებ დორფმანმა მოიპოვა. ახალი ჩემპიონის უმთავრესი მეტოქე მისივე მოწაფე ეტიენ ბაკრო იყო, რომელიც მწვრთნელს ნახევარი ქულით ჩამორჩა. შარშანდელმა ჩემპიონმა ანატოლი ვაისერმა 9 ქულა მოაგროვა.

### „საჭადრაკო ლეგენდებმა“ მოუგეს ახალგაზრდებს

ამ ბოლო ხანებში ყველა შეჯიბრებაში იმარჯვებს 67 წლის კორჩნოი და მკვეთრად იუმჯობესებს ადგილს მსოფლიოს უძლიერესი დიდოსტატების „რეიტინგ-ლისტში“, მისი „ისტორიული მეტოქე“, 20 წლით უფრო ახალგაზრდა ანატოლი კარპოვი კი, პირიქით, იუარესებს.

ამას წინათ ციურიხში დამთავრდა თავისებური საერთაშორისო ტურნირი ორ წრედ, სადაც 5 „საჭადრაკო ლეგენდა“: ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია), ბენტ ლარსენი (დანია), სვეტოზარ გლიგორიჩი (იუგოსლავია), ვოლფგანგ უნციკერი (გერმანია) და ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი, 77 წლის ვასილი სმისლოვი (რუსეთი) შეხვდა შვეიცარიის ახალგაზრდულ ნაკრებს.

შეჯიბრება „ლეგენდების“ თვალსაჩინო უპირატესობით აღინიშნა. 8 ქულით პირველი ადგილი კორჩნოის დარჩა, ხოლო 6-6 ქულით მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს ლარსენმა და გლიგორიჩმა. 63 წლის დანიელი დიდოსტატი ბენტ ლარსენი, რომელიც კარგა ხანს ავადმყოფობის გამო საერთაშორისო შეჯიბრებებში არ მონაწილეობდა, ახლა იუმჯობესებს საბრძოლო მზადყოფნას.

### გარდაიცვალა ლასლო საბო

81 წლისა გარდაიცვალა გამოჩენილი უნგრელი დიდოსტატი ლასლო საბო. იგი 1946-79 წლებში 88 საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა, აქედან 21-ჯერ პირველი პრიზი მოიპოვა, 30-ჯერ კი მეორე და მესამე, გამოდიოდა 11 საჭადრაკო ოლიმპიადაზე, პრეტენდენტების ასპარეზობებში, ამასთან, 1956 წელს ამსტერდამში III-VII ადგილები გაიყო, წლების განმავლობაში ითვლებოდა მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს მოჭადრაკედ..




ჟურნალისტმა და მოჭადრაკემ ვასილ ვაშაკიძემ შემოგვთავაზა წიგნი „საჭადრაკო კურიოზები“. ავტორმა, რომელიც ჩვენი გაზეთის ყოფილი თანამშრომელია, თავი მოუყარა სხვადასხვა წიგნში თუ ჟურნალ-გაზეთებში, მათ შორის „ლელოშიც“, წლების განმავლობაში გამოქვეყნებულ საინტერესო და კურიოზულ შემთხვევებს მოჭადრაკეთა ცხოვრებიდან. გარდა ამისა, იგი გვთავაზობს არაერთ მინიატურულ პარტიას და იუმორისტულ პოზიციას ამოხსნებითურთ. მათ გარკვეულ ნაწილს ჩვენი მკითხველი პირველად შეხვდება.

მივულოცოთ ახალგაზრდა ავტორს მისი პირველი წიგნის გამოსვლა და ვუსურვოთ შემდგომი წარმატებები.













## შერეული კროსვორდი



**თარაზულად:** 5. „ფრაიბურგისა“ და საქართველოს საფეხბურთო ნაკრების თავდამსხმელი (ფოტო), 7. ავსტრიის საფეხბურთო კლუბი, 8. ლატვიის საფეხბურთო ნაკრების წევრი, 11. ეთნოსი ევროპაში, 12. საჩოგბურთო მოედანი, 13. გამაჯანსაღებელი ობიექტი, 16. რუსეთის საფეხბურთო კლუბი, 17. ბრაზილიის საფეხბურთო კლუბი, 21. ახლო წარსულში თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს ნაკრების მეკარე, 22. პორტუგალიის საფეხბურთო კლუბი, 23. ცურვის სახეობა, 26. 60-იანი წლების ცნობილი ქართველი კალათბურთელი (ფოტო), 27. 70-80-იანი წლების ბრაზილიელი ფეხბურთელი, 28. მითითება, რომელსაც უტოვებენ შთამომავლებს.

**შვეულად:** 1. ბერნარ ტაპის მშობლიური ქალაქი საფრანგეთში, 2. „აიაქსის“ ნიგერიელი ლეგიონერი (ფოტო), 3. სპორტის სახეობა, 4. 50-იანი წლების ცნობილი მოსკოველი ფეხბურთელი, 6. მინდვრის ხელოვნური ზედაპირი, 9. საქართველოს საფეხბურთო ნაკრების მეკარე, 10. წნევის გასაზომი ხელსაწყო, 14. მოკლე საჭადრაკო პარტია, 15. ინგლისელი მოჭადრაკე, 18. მსოფლიოს რჩეული ფეხბურთელი, 19. იტალიური საფეხბურთო კლუბი, 20. წარსულში ცნობილი ქართველი მოჭიდავე, 24. „სკუადრა აძურას“ თავდამსხმელი, 25. საფრანგეთის საფეხბურთო ნაკრების მცველი (ფოტო)

**წინა ნომრის კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. მონტერო, 7. ბლატერი, 8. ბრაიტნერი, 11. ტრეკი, 12. რაკლი, 13. კროლი, 16. გულიტი, 17. გელერი, 21. ბორგი, 22. „პორტო“, 23. კნუპი, 26. დარასელია, 27. სკილაჩი, 28. ვენტოლა. **შვეულად:** 1. გონტარი, 2. ერერა, 3. ფლორი, 4. ბრიგელი, 6. ლატეკი, 9. აკვალანგი, 10. ბროკელენი, 14 მატჩი, 15. ვიერი, 18. ფომენკო, 19. კრესპო, 20. „შპიგელი“, 24. „კალჩო“, 25. შირეა.

## საჭადრაკო ამოცანები – ტყუპები

ჩ. მარცვალაშვილი (ჩარგალი)



ორივე ამოცანაში შამათი 3 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. ლh7! 1. ...მფb6 2. მფb4 მფa6 3. ლb7X. 1. ...მფd6 2. მფc4 მფe5 3. ლe7X.
1. ...მფb5 2. ლc7 მფa6 3. კe2X. 1. ...მფd4 2. ლe4+ მფc5 3. ლb4X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ ხიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდამონიძე